

ცხოვერება

1916

ორკვირული სამეცნიერო, სა-
ლიტერატურო და საპოლიტიკო
ჟურნალი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. მკითხველს.
2. „პრიგავარის ღველი“, ამბავი მელა-
ნისი.
3. გამახსენდი, ლექსი, გორგისა.
4. გადაგდებული ყვავილი, დ. თურდო-
სპირელისა.
5. მარტობა, ლექსი, ობოლი მუშისა
6. სადარი ღმერთი, მ. რაჭველისა.
7. ორი სიზმარი, სანგურელისა.
8. მოგონება, რ. საჯავახოელისა.
9. კრიტიკა, ხომღელისა.
10. ბალკანეთი და სპარსეთი.
11. შოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, ამბე-
რისა.
12. ჩვენი გადაგვარება და ეროვნული სა-
ხელების მოსპობა, ბესარიონ კიათუ-
რელისა.
13. მეცნიერების სხვენი, გ. ალისა.
14. შეცდომის გასწორება.

1 იანვარი

1916 წ.

მ უ თ ა ი ს ი

სტამბა „მშობა“, ქარვასლის ქ., სახლი ჩარეკოვისა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„ცხოვერება“-ს ე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ რომანოზ ფანცხავას რედაქტორობით.

ჟურნალში საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრომლებენ.

წლიურად ჟურნალი ეღირება 5 მ., ნახევარი წლით 3 მან., სამი თვით 1 მ., და
10 შ., თვეურად 10 შაურად.

წლიურ ხელის მოწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ.

ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 1 მ. და პირველ ივნისს 1 მანეთი:
ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Роману Спиридоновичу Папцхавა.

სსოპრეზა *პრ* 1.

1 იანვარი.
1916 წ.

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

მ კ ი თ ხ ვ ე ლ ს.

წრფელის გულით და სინდისით მიეულო-
ცავთ ჩვენს მკითხველს ახალს წელიწადს.

ძლივს გავისტუმრეთ განუმეორებელ უფ-
სკრულში 1915 წელიწადი, რომლის მსგავსი
კაცობრიობას არც მოსწრებია, არც ზღაპრათ
თქმულა...

ჩვენ ჟურნალსაც სწორეთ ამ საერთო ვაე-
ბის ღ გამოწარების, სიკვდილ-სიცოცხლის დროს
მოუხდა გამოსვლა სალიტერატურო ასპა-
რეზზე.

ქართულ ჟურნალ-გაზეთების მცირე
რიგში ეს ახალი ჟურნალი სრულიათ ახალი,
ჯერ უნახავი ჯარის კაცი იყო, რომელსაც
განმარტობით, სულ ცალკე მიქონდა სამხა-
ტერო-სალიტერატურო, საპოლიტიკო და,
შედლების და გვართ, სამეცნიერო მოღვაწე-
ობის ტვირთი...

წარმოდგენილიც არა გვქონდა, ცხოვრე-
ბის მწარე პირობებში გაჩენილი ეს ახალი
ჟურნალი, თუ წლის ბოლომდე გავიღოდა
პირწმინდათ ცოცხალი.

ჩვეულებრივ დროსაც, დაწყნარებულ
მოქალაქობრივ ცხოვრების მიმდინარებაშიც-
კი ერთი წელიწადი დიდი ნაბიჯია, საზოგა-
დოთ, ქართული ჟურნალისთვის. მარა ის წე-
ლიწადი, რომელიც შარშან გავიარეთ, ერთი
დიადი საქმეა, რომლის სრული გათვალისწი-
ნება აქ, ახლა ჩვენთვის ყოველათ შეუძლებე-
ლია...

ჩვენ არც იმის ანუხსევას შეუძლებით აქ,
თურა, გავაკეთეთ ამ ერთი წლის განმავლო-
ბაში. ამ ნაკეთები საქმის სრული გამსჯელი
და დამფასებელი ჩვენი ჟურნალის განათლე-
ბული მკითხველია.

ჩვენ გვინდა მხოლოთ აღვნიშნოთ აქ

ორიოდე სიტყვით, რომ არ დაგვიზოგავს ჩვე-
ნი შრომა, ენერგია და მეცადინობა ჟურნა-
ლის წესიერათ წარმოებისთვის. მთელი წლის
განმავლობაში ქართული სერიოზული პერიო-
დული გამოცემა ვაწარმოვეთ სუფაათ, ფაქი-
ზათ ისე, რომ ამხანაგობათა და კოლეგების-
თვის დასახმარებლათ არ მიგვიმართავს. ამ სა-
ქმეში იყო ჩაბმული მარტო ერთი კაცის პი-
რადი ინიციატივა...

გავუძელით ამ საშინელს ერთ წელიწადს,
რომლის ერთი მოგონებაც-კი ტანში საშინელს
ჭრუანტელს გვგვრის!...

ამ გასაცვიფრებელმა საერთაშორისო
დიადმა ომმა გაანადგურა მთელი საქართვე-
ლოს არე-მარე და მკვიდრი, ორჯელ მოვლენ-
ილმა წყალ-დიდობამ და ზედი-ზედ თავზე
დამტყადარმა მოუსვლობამ სულ ერთიანა დაამ-
შია ჩვენი ქვეყანა, უშველებლათაც გააძვირა
ჟურნალ-გაზეთების საბეჭდი ქაღალდი, ბეჭ-
დითი სიტყვის და, საზოგადოთ, სტამბებში
სამუშაო საქმეების წესიერი მიმდინარობა სა-
შინლათ არივ-დარია. ასოთ-ამწყობათა შიმში-
ლიც გამოიწვია ჯარისკაცათ ყოველ დღე გა-
წვევის საქმე...

პირდაპირ გაცივიფრებაში ვართ ჩავარდნი-
ლი, ასეთ წელიწადში, რატო სხვასავით არ
მივხურეთ ჟურნალი და ჩვენის ნებით არ გავე-
ცალეთ სალიტერატურო ასპარეზს?!..

უნდა სიმართლეთ მოგახსენოთ, ერთად
ერთი ცხოველ მყოფელი, სულის ჩამდგმელი
წყარო, რომელიც ჩვენ სალიტერატურო
შრომას აძლევდა ენერგიას, იყო ჩვენი შეგნე-
ბული მკითხველი საზოგადოების თანაგრძნო-
ბა და პატივისცემა, რომელსაც ჩვენ ჩვენს სი-
ცოცხლეთ ვერ გადავიხდით...

სრულიათ ურეკლამოთ, უგანგაშოთ და

უაგენტბოთა(კ*), ჩვენი ჟურნალის წლიურ ხელის მომწერთა რიცხვა ხუთასს გადაჭარბა პირველ თვეებშივე. მერე, არ იკითხავთ, ვინ ბძანდებიან ეს მკითხველები? სულ ყველა უმაღლეს სასწავლებლებში კურს დასრულებულნი—მკურნალნი, იურისტნი, მასწავლებელნი და ჩვენში დიდათ ცნობილნი საზოგადო მოღვაწენი. და ეს რიცხვი სრულიათ საქმაო გახლავთ საქარაველოში, ჩვენი ორგანოსთანა ჟურნალმა რომ იცოცხლოს და წელიწადი ბოლომდი გაიტანოს.

შემდეგ წლებში, თუ ქვეყნათ მშვიდობას მოვესწარით, მკითხველთა რიცხვი უფრო იმატებს, რა თქმა უნდა, და ჩვენც ფთას გავშლით... ჟურნალის გამოცემის სისტემა-კი ისეთივე იქნება, როგორც გასულ 1915 წელს იყო.

გვინდა დავაჯეროთ გული, რომ ამ წლის განმავლობაში მაინც ბოლო მოეღება ხალხთა ამ საშინელ ჟღერსს, ჩვენი ჟურნალის პატივცემული მკითხველი სამერმისოთაც და გვეხმარება, რომ ეს ერთად ერთი ორკვირული სერიოზული ქართული ჟურნალი ნივთიერთ ფეხზე დადგეს. ეს-კი საჭიროა, რო ღირსეულს, ნიჭიერს მის თანამშრომელს ჰონორარი მიეცეს და სალიტერატურო ორგანოც ნამდვილ, ქეშმარიტ ევროპულ სალიტერატურო ორგანოს დაემსგავსოს...

მოგესხენებათ, ყოველი რიგიანი სალიტერატურო ორგანო, უმეტეს შემთხვევაში, სულიერ საზღოსაც აწვდის მკითხველს და ეს მკითხველი, მაშასადამე, გამსჭვალული უნდა იყვეს იმ კეთილშობილური სურვილით, რომ ეს ორგანო ნივთიერთ ფეხზე დადგეს, დამოუკიდებლათ, თავისუფლათ განაგძოს არსებობა და თავის ერთგულ, ნიჭიერ თანამშრომლებს ჰონორარიც დაუნიშნოს. ქართველმა კაცმა უნდა მიუტილებლათ შეიგნოს ეს დიდი საქმე და ასეთი წესი უნდა დაწესდეს

*) აგენტბოთა, დახმარების მაგიერ, გაგძარცვეს, ორიოდ პატიოსანი ადამიანის გარდა. რომელთა ვინაობას თავის დროზე მადლობით გამოვაცხადებთ.

ჩვენშიაც ისე, როგორც ეს არის სხვაგან, დაწინაურებულ ქვეყნებში.

თუ ასეთის თვლით შევხედავთ პერიოდულ გამოცემის საქმეს ჩვენში, მაშინ ჩვენ ცხოვრებაშიაც სრულიათ ახალი პირობები შეიქნებიან და, ამ პირობების შეოხებით, ფრიად ახალი, ძლიერი, მდიდარი, სასარგებლო, მჩქეფარე ლიტერატურა ენერგიულათ, გაბედულათ ფეხს გადადგამს და აყვავდება*).

ჩვენი რედაქცია ერთი გულწრფელი მოტრფიადეა საქმის ამ გვარათ დაყენებისა.

„პრიზაჰარის ღვდელი“*)

(ამბავი)

I

„მადლობა შენთვის, ღმერთო, თუ სადმე ხარ! რა დრო მოიყვანე, შე დალოცვილო, ოპ და, რამდენს ნოუშხამე ტკბილი ცხოვრება და ჩაუგდე კოვზი ნაცარში! ხოლო მათ ნაცვლათ რამდენი მოსწივე მოულოდნელ ბედს და გადაუშალე წინ უხვი სუფრა! შე და ღვდელი?! სიზმარში-კი მომეჩვენებოდა ღვდლობა, რომ ეს დრო არ დამდგარიყო და უწინდელი კვლობა იყოს? ახლა ანაფორა მაცვი! სიზმარიც ხომ არაა —ცხადია! აბა, რო იტყვიან, წინანი უკანო და უკანანი წინაო, სწორეთ ახლა ხდება ნათლად და სინამდვილით. მეც ღვდელი, ჩათლუაც ღვდელი, ისიდორეც ღვდელი!“

„ახლა რამდენი იწვალა იმ საცოდავმა ისიდორემ! ეს უწილჩაო, ეს სემინარია, ეს აკადემიაო, —ბოლოს, ისევ ღვდელი, როგორც

*) ჩვენ ქართველებს კეთილშობილური სურვილი გვაქვს, რო ჩვენს თანამომე სომხებს არ ჩამოვრჩეთ უკან და, აბა, ქართველობა თუ, როდისმე მოესწრება იმას, რაც მოხდა ახლა, გუშინ, ჩვენი თვალის წინ აქვე, ჩვენს თფილისში.

უკეთილშობილესმა მანთაშევმა 250.000 მან. გადადვა, რო „Кавказское слово“ს გამოცემა უზრუნველყოფილი იქნეს ნივთიერთათ. ამ დიდ ფაქტს განმარტება აღარ ეჭივრება.

*) ეს მხატვრული ნაწარმოები მელანიასი პირველათ დაისტამბა 1908 წ. სხვა ფსევდონიმით ერთ მაშანდელ სალიტერატურო აღმზნახში, მარა იქ, „მიზეზის გამო სხვისა და სხვისა“, იგი ვერ დაასრულეს და ახლა სრულათ ისტამბება ჟურნალ „ცხოვრებაში“ რედ.

შე და ჩათლუა. ახ, ჩათლუავ, შე პირდაღლო, ნეტავი, ერთი ამ საათში აქ მომიგდო შენი თავი, რო თავით ფეხამდი გადაგლოკო! შენ გამბებენიერე, თორე მე ფიქრათ-კი მომივიდოდა როდისმე, რო ღვდლის ანათორას ჩავიცვამდი? მართალია, ხანდახან ვოცნებობდი შთავარდიაკნობაზე, მარა მიუწვდომლათ ვთვლიდი ამ ოცნებას. კაცი ცხოვრებაში ჩაებას, ღვინოს ტუჩი მოჰკიდოს; სხვისა ჭირშიაცა და ღვინოშიაც ერთნაირათ ეწაფებოდეს ნუნუსას, და მხიარულათ, სიამოვნებით დროს ატრებდეს და სწავლა-მომზადებსთვის-ლა მოიცალოს და მოინდომოს?! რაც მთავარდიაკვანი, ის ფხალ-მუნჩიკი. რისთვის-ლა უნდა ამეტკივა აუტკივარი თავი, მარა, როცა ჩათლუამ ჩაიცვა ანათორა ღვდლისა, მაშინ-კი, ღვთის წყალობა, მე შამახურა სიმშურნემ!

„როგორ, ჩათლუამ, რომელი სემინარიის, ან უჩილიჩის კარები გადალახა? ან რითა მჯობდა მე? პირ-იქით, მე იმას ყოველთვის ვჯაბნიდი. მართალია, ის უფრო ბევრან არი ნათრევი და გაეშმაკებული და საერისკაცოც ყველაფერი კარგათ ესმის, მარა საეკლესიოში-კი მე ყოველთვის ცვაღადი და დღესაც ვჯობივარ. თუ კაცია და წინ წამივლის, ან კითხვაში, ან გალობაში! ღვდლისთვისაც ესენია საქირო. თავის დღეში მე იმას ქვეშ არ დავრჩომილვარ და ახლა ცოცხალის თავით გაუშვებდი მე იმას ჩემზე წინ? იმის ჯიბრზე მოვიკიდე ხელი მომზადებას, თორე... მოვიკიდე და კიდევ მივალწიე საწადელს“!

„მოდღვართ-მოდღვარი რო მკითხავდა ხოლმე, შური და მტრობა ხომ არა გაქვს გულშიო. არა, შური რომ არა მქონოდა, ამ ადგილს მივალწევდი? რათ უნდა იყოს შურიანობა წინააღმდეგი, ან ღვთისთვის, ან კაცისთვის, როცა მან გამაკეთა, კაცათ მაქცია“!

„ეგ არი, ბევრი დამეხარჯა ღვდლობის შოვნაში. მომზადებაში ამძრო ბევრი, მარა რა უყოთ, უამისობაც რომ არ შეიძლებოდა — ფეხი შიგ ედგა-და! კიდევ ღმერთმა უშველოს ჩვენ ამხანაგებს, თორე „პრიგავარშიაც“ ბევრს მა გლენჯდენ. თუმცა კი, სწორეთ რო ვთქვათ,

არც ისე ბევრია ჩემი დანახარჯი. აბა, ისიდორემ იანგარიშოს, რამდენი დანახარჯათ მის მშობლებს უჩილიჩაში, სემინარიაში, აკადამიაში; მის დანახარჯთან ჩემი—სათქმელიც არ იქნება. ვასხვავება-კი მე და ისიდორეში რა არის? — ისიც ღვდელია, მეც. შარცხვეს, ვინც იმაზე ნაკლებ აუვოს მიცვალებულს ანდერძი! ის ქალაქის ღვდელია და მე სოფლისა? — მე რო ბატონი ვიქნები ჩემი მრევლის და ის-კი მონაა თავის მრევლისა, ეს არაფერი? აბა, მიყუროს, როგორ საჩქაროთ ავაყენო ჩემი დანახარჯი მრევლის კისრიდან! ისიდორე ხო ვერ მოგსწრება ამას! მართალია, შეღავათი აუთქვი მრევლს „პრიგავარის“, შედგენის დროს მარა ეს არაფერი. ჯერ ჩავდგა ფეხი მრევლში: იმისი ცოცხალთ იციან, მკვდარს საით უხმენ თავს, — ამხანაგები იქ შეყოლებიან. თუნდაც რო შევასრულო აღთქმული, რასა ვკარგავ? მაინც იმაზე ხო ბევრით მომეტებულს ავიღებ, რასაც პრიეტნიკობაში ვიღებდი“.

„მერე, რაც შეკუთვნოდა, იმასაც ხო სრულათ არ მაძლევდა ჩემი ღვდელი... ჰო, აბა მიყუროს ახლა ჩემმა პატიოსანმა ღვდელმა! რაო? რას ვამბობ? „ჩემმა პატიოსანმა ღვდელმა“? რის ღვდელია ის ახლა ჩემი? — ღვდელი — კი არა, ნაღვდელარია! ერთი-კი დავეტაკები და... საცა წვრილია, იქ გაწყდეს. თუ ვერ ვასროლინო კუდით ქვა და ვერ წამოგსკუბდე მის ადგილზე, მაშ, მე ბიჭი არ ვიქნები“!

ასე ფიქრობდა და ლაპარაკობდა თავისთვის ერთ-ერთ იაფ-ფასიან სასტუმროს ოთახში საღამოს ლოცვიდან დაბრუნებული იმ დღით ახლად ნაკურთხი ღვდელი მაქსიმე ქერეჭა-შვილი.

II.

მაქსიმე პირველ ცოლთან დაბადებული ვაჟიშვილი იყო შტატ გარეშე პრიეტნიკის (შემდეგ გადასახლებულ ჰსალმუნჩიკათ) იოსებ ქერეჭაშვილისა.

ვიდრემდი მაქსიმეს დედა ცოცხალი ყავდა, მამაც, მისი სიყვარულით მოდიოდა, თუ ცოლის ხათრით, ან შიშით, ყურათღებით ექცეოდა მას. რათგანც საშვალეება არ აძლევდა ხელს და ღირსს, რო სასწავლებელში მიეყვა-

ნა იგი, თვით მამა შეუდგა მის აღზდას და გულს მოდგინეთ ასწავლიდა ჟამნ-დავითნს. ხოლო, როცა დაქვრივების შემდეგ, მეორე ცოლი მოიყვანა და მასთან ეყოლა სხვა შვილები, მაქსიმეზე სრულიად გული აყარა და მიანება თავი, მაქსიმეცა ჟამნ-დავითნს მიანება თავი და დიწყო გარეწრობა.

ჯერ სამშობლო სოფელში დახეტიალობდა უსაქმურათ მაქსიმე, მერე აქით-იქით სოფლებში ვაეჩეია; ბოლოს, ტფილისისკენ გამოსწია. აქ პირველათვე რკინის გზის ლიანდაგზე უბრალო მომუშავეთა წრეში მოკვა. მარა მუშაობა ლიანდაგზე, ცოტა არ იყოს, სამძიმოთ ეჩვენა; მალე დაანება ამას თავი და ერთ საყასბოში მივიდა ბიჭათ. ეს საქმეც ვერ პოვა მაქსიმემ თვისი ბუნების შესაფერათ; ისევ ეკლესიის „სტოროჯობა“ ირჩია და იშოვნა კიდევ ასეთი ადგილი ერთ-ერთ ტფილისის ეკლესიაში. „სტოროჯობის“ ყოფა-ცხოვრება უფრო მყუდროთ ეჩვენა მაქსიმეს და აქიდან ფეხი აღარსაით მოიცივალა. აქ ხელი მიყო ისევ მამა-პაპურ საქმეს—ჟამნ-დავითნს და შრომამაც არ ჩაუარა უნაყოფოთ. „პსალმუნჩიკის“ ეგზამენია დაიჭირა და „გამწესებულ იქმნა“ შტატის პსალმუნჩიკათ ოსეთის ერთ-ერთ მიყრუებულ პრიხოდში. ხოლო მისმა ბედმა ისე იმუშავა, რომ, ექვსი თვის შემდეგ, დაიკალა ადგილი სოფელ გვემულში, სადც გადაიყვანეს ისევ შტატის ადგილზე.

ახალ ღვდელს ვერ შეეწყო კარგათ მაქსიმე, —ხშირათ მოდიოდათ ჩხუბი. ღვდელი ძლიერ შეეცადა მის მოშორებას, მარა ვერა გზით ვერ მოახერხა. მეტადრე ახალმა მოძრაობამ შეუშალა ამაში ხელი და ენა მუცელში ჩაუგდო ღვდელს. მაქსიმე-კი პირ იქით უფრო წააქეზა და გაათამაშა ამ მოძრაობამ ღვდლის წინააღმდეგ ბძოლაში. მაქსიმემ თვისი თავი სოციალ-დემოკრატათ გამოაცხადა. მალე ცოლიც შეირთო და ამით უფრო მოიკრიბა ძალ-ღონე ღვდელთან საბძოლველათ: რათგანც ცოლში პოვა წრფელი თანამოაზრე და მედგარი მომხრე უკვე ატეხილ ბძოლაში.

ცოლი მისი ღვდლის დარჩენილი ქალი

იყო. როგორც თვით ქალი არწმუნებდა მაქსიმეს, ბევრ სემინარიელს უთხრა მან უარი. ხოლო ახლა მაქსიმე ქერეჭაშვილზე გათხოვდა იგი მისთვის, რო „მხოლოთ შენ დააკმაყოფილე ჩემი წარმოდგენა ქმარზედაო“, ეუბნებოდა ხოლმე ხშირათ ცოლი ქმარს.

ერთმანეთი მათ ვაიცნეს მიტინგებზე. ქილმა პირველმა მოიწონა მაქსიმე და მისი „მიმართულება“ და პირველათაც მან მისცა წინადადება ცოლქმრობაზე: შეერთებულის ძალით უფრო ნაყოფიერათ ვიბრძოლებთ დაჩაგრული ხალხისთვისო“, დაუმატა მან, როცა გაუმედავნა თვისი გარდაწყვეტილება საქმროს. ჯვრის წერაც აღარ დაავიანეს. თუმცა სასძლო იმ აზრისა იყო, რო ჯვრის წერა სულ მეტი იყო, არაფერს ნიშნავდა, ვერც არაფერს მოუმატებდა მათ და ჯვარდაუწერავდაც მტკიცე ცოლქმრული კავშირი ექნებოდათ. მარა თვით მაქსიმეს სამსახურისთვის შეუძლებელი და კანონიერათ შეუწყნარებელი იყო ჯვარ დაუწერვობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეუღლების უმაღლვე ღვდელზე მიიტანეს ძლიერი იერიში. ომისთვის საბუთიანი მიზეზიც ღ მასალაც ქონდათ ხელთ —საღვდელით კრების გარდაწყვეტილება: მიეცეს პსალმუნჩიკებს მესამედი შემოსავლისა, ნაცვლათ მეოთხედისა. ომი საჩივრით დაბოლოვდა, რომელსაც მოკვა შედეგათ მაქსიმეს უადგილოთ დათხოვნა. მარა ზოგი სიმამრის მეცადინობით, ზოგი ნაცნობების დახმარებით, ზოგიც თვით დათხოვნილის განუწყვეტელი თხოვნების წაყოლობით, ორი თვის შემდეგ, მიიღეს იგი უკანვე სამსახურში და ისევ ოსეთში გაამწესეს.

III

ჯერ სრულად დათხოვნა ადგილიდან, მერე ისევ ოსეთში გადაკარგვა ადგილი ასატანელი და მოსანელგებელი არ იყო „დაჩაგრულების მფარველთა და მათი ინტერესები დამცველთათვის.“ მარა აუშფოთებლივ მიეგებენ და სულის სიმშვიდით აიტანეს ეს განსაცდელი. მიზეზი ამისა, გონია, ის უნდა ყოფი-

ლიყო, რო მათ ახალ ყვავილობაში დაატყდათ თავს ეს განსაცდელი. და ნეტარება ახალ ყვავილობისა უსიამოვნო გძნობათა აღარ აძლევდა ადვილს მათ გულში. მართალია, ხანდის—ხან—კი ეწვეოდათ ხალხი მათ, დაუპატიჯებლათ, შემადრწუნებელი ფიქრები, მარა ერთი ერთმანეთის გამხნევეებით მალე გაფანტავდნენ ხოლმე ამისთანა ფიქრებს და უმალ აღივსებოდნენ იმედით უკეთესს მომავალზე.

იმედის გახორციელებამ მოლოდინს უსწრო. აქ, ოსეთში, შეიტყო მაქსიმემ, რომ მისმა სტოროჟობაში ნაამხანაგარმა და მეგობარმა ჩათლუმ (გამოცვლილი სახელია) ისარგებლა იმ დიადი წყალობით, რომელიც მოუვლინა საღვდლო კრებამ თვისი დადგენილებით (მთავრობის მიერ დამტკიცებულით) სამრევლოებს—ამ უკანასკნელათ „სასარგებლოთ და „საბედნიეროთ.

ჯერ დათხოვნილი არ იყო მაქსიმე სამსახურიდან, როცა მას შეხვდა ერთხელ ჩათლუა და, სალამის შემდეგ, მიმართა მას:—ბიჭო, მაქსო, ჩვენთვის რო ცა გაიხსნა, შენ არ იცი? —ამას იქით მრევლმა თვითონ უნდა ამოიჩიოს და მოითხოვოს ღვდლათ, ვინც უნდა.

—მერე შენ რა მოკეცება?

—რას ამბობ, ეი, ჩვენ ჩაიქეციტ ძველი ბოგირებივით, მაშ! გადავიცვათ ანაფორები და ვიქეიფოთ!

—სწორეთ ოქროს ლაგნით მოგართმევენ, აი! გასუნებინებენ—კი, შე საწყალობელო ღვდლის ანაფორისთვის?

—შენ ნახავ, თუ არ მასუნებინებენ!

—განა არა, ჩააბულბულეებ ეგზამენიაში ღვთის მეტყველებას!

—ღვთის მეტყველება რა ეშმაკათ მინდა? —რაც საჭიროა—კი, ჩააბულბულეებ—კი არა, მეტსაცა ვიქმ. არა, ფეხებს—კი არ მომ... რომ არ ჩააბულბულეებინებენ. ე სემინარიელებმა ხო ბოიკოტი გამოუცხადეს ღვდლობას; დაგვრჩა ბურთი და მოედანი ჩვენ. ჩვენს მეტი გზა რომ აღარ აქვთ, მოდი და ნუ ჩააბულბულეებინებენ და ნუ მაკურთხებენ!

—ნეტავ თხა იყოს, ტყუპი მაიგოს.

—ბიჭო, სადა ხარ? თვალს რატომ არ გაახელ და ყურს არ გამოიბერტყავ?—სოფელს ისე გაურბის ყველა ნასწავლი ხალხი, როგორც ქირს. ჩვენთვის კი რო ვთქვათ, განა გასამტყუნარნი არიან? რამდენი ხარჯი მოსვლიათ, რამდენი ტანჯვა და ვაი-ვაგლახი გამოუვლიათ სწავლის შეძენაში! გიყები უნდა იყვენ, რო სოფლათ გამოვიდნენ, აქ რაიმე საქმესა და სამსახურს შეუდგენ და გამოვლილ ტანჯვას კიდევ ტანჯვა დაურთონ. მე რო მათ ალაგას ვიყო, მე-კი გამოვდგამდი სოფლათ ფეხს?—შენ არ მომიკვდე! არა, სად სოფლელ ტეტებიტან ჩიჩინით თავის ქალას აგდებინება და სად განათლებულ საზოგადოებასთან დამოკიდებულება, გავითარებულ სწორ-ამხანაგებთან მუსაიფობა და ბაასი, თუნდ იმავე სოფლის საქმეზე? სად მკედრების მარხვა და სად კაბინეტში ჯდომა და იქიდან სოფლის ყურის გდება და პატრონობა, როგორც დაწესებულია ეს ნასწავლ ხალხისათვის? იმაზე ადვილი რა არი, რომ იჯდე შენთვის კაბინეტში; თვალით არა ხედავდე შავლდეში ჩავარდნილ სოფელს, ყურით არ ისმენდე მის ტანჯვა ვაებით კვენესას მხოლოთ წარმოდგენილი გქონდეს, რო სოფელსაც შავი ღღე და ტანჯვა თავს დატრიალებენ. ეძებდე და, მით უფრო სასტიკათა და თავგამოდებით, კიცხავდე ამ უბედურებათა მიზეზებს, რომ, იცი, შენ თავს ამ კიცხვით მცირეოდენათაც არ შებღალავ, რათვანც სოფელზე შორსა დგახარ და, პირადათ, არაფერი კავშირი და დამოკიდებულება არა გაქვს მისს ავ-კარგიანობასთან.

მეტი რაღა ბედნიერება გინდა, რომ ადგენდე შენთვის პლანებს მაზე, თუ როგორ შეიძლება დახსნა სოფლისა გაჭირებიდან მოსპობა მასში ყოველგვარი ბოროტებისა და უწყსრიგობისა და გაბედნიერება მისი; და თანაც დარწმუნებული იყო, რომ უეზარი წამალი აღმოუჩინე სოფელს ქირ-ვარამისგან განკურნებისთვის.

შენმა გაზდამ, თუ კი ავიღებდი კალამს ხელში, ავაყვავებდი სოფელს ყოველგვარი

სიკეთით, ისეთ ბედნიერებას ვწვედი მას, რომ იმას იქით ადამიანის სურვილი ვეღარ წასულიყო. როგორა გგონია, ძნელია განა, ავიღო კალამი და გადაჭრელო: მე ძლიერ მომიხდება და სასარგებლოც იქნება ჩემთვის, რომ მქონდეს, თუნდ სადმე მივიარდნილ სოფელში, კაი ორსართულიანი სახლი, მის გვერდზე გადაქიმული ბარაქიანი ზვარი; სახლის წინ ფართო, ყალთადიანი და სუფთა ეზო; ეზოში იდგეს დიდი კაკლის ხე, ვიჯდე მის ქვეშ და ბატონკაცურათ ხელში კრიალოსანის თამაშობით, ვემუსაიფებოდე და ვესიყვარულებოდე ცოლსა და შვილებს (თუმცა კი ვიცი, შვილები არ დამიდგებოდნენ სოფელში, თუ განათლებას მივცემდი). ეს უფრო ადვილი და სასიამოვნო საქმე არ იყო ჩემთვის, ვიდრე დღისა და ღამის გატეხვა, ეგზემენისთვის მომზადება და თავში ცემა? იქნება, სახლიც ავაშენო, ზვარიცა და სახნავ-სათესიც ბევრი მოვიპოვო თავის დროზე, მარა კიდევ რამდენი შრომა-ღანჯვა და ვაი ვავლახია ამისთვის საქირო ეგზამენის დაჭერის გარდა?

ეჰ, ჩემო მაქსო, თვალი მიაველ-მოავლე აქით-იქით, რა კარგა დაინახო: რაც ხდება ქვეყნიერობაზე და! საცა ნაკლები შრომაა საჭირო, იქ დიდი ჯილდოც არი დაწესებული ამისთანა შრომისთვის და ნაწილი ხალხიც, როგორც ჭკვიანები, ამ მცირე შრომასა და დიდ ჯილდოს ელტვიან ყოველთვის.

— შე დასაქცევო, შენა, შე რო სწავლა მილო, სადმე, რამიშვილის კვალში ჩაფლავდი!

— ვისაც შნო და უნარი აქვს, საითაც მიიხედ-მოიხედავს, ყველგან სწავლასა და ჭკვას შეიძენს, — არ იყო, ცოტა თავ-მოწონებით წარმოსთქვა ეს სიტყვები ჩათლუმ და გააგძელა — ჰო, იმას ვამბობდი რამდენი მაგალითი ვიცი, რომ თითო სოფლიდან ხუთ-ხუთ ექვსეჭვსი, და ზოგან მეტიც, არიან ზოგი სემენარია გათავებულები, ზოგი გემნაზიელები, ზოგი მაღალ-სასწავლებელ დასრულებულნი, რომ ქვა მიუგდიათ თვისი სამშობლო სოფლისთვის და ქალაქებში სხედან. კი ნუ გონია გულის წყრომით ვამბობდე მათზე ამას; არა, პირ იქით, მა-

დლიერნი უნდა ვიყვნეთ მათი: რადგანც მათ ამისთანა ქცევას პირდაპირ ჩვენი ბედნიერება მოსდევს. მართლაც და, რა იქნებოდა ჩვენი ყოფა, რომ ყველა ნასწავლი და განათლებული კაცი სოფლიდან ქალაქში არ გარბოდეს! ხო სიმშლით უნდა ამოწყვეტილიყო ჩვენისთანა ხელ-მოკლე და უსწავლელი, უღიპლომო, კაცი. ახლა-კი, იცი, ჩვენხელში გადმოდის სოფელი. სახელითაც და სახრავათაც; ჩვენ გვრჩება ხელმძღვანელობა სოფლისა; ჩვენ ვხდებით დღეს სრული ბატონი და პატრონი მისი. ხუმრობაა, რამდენიმე ასი და ათასი ადამიანის სულიცა და ხორციც შენს ხელში უნდა იყოს! მეტი-ლა გინდა?

ჩვენც ყოველგვარი მეცადინეობა და გამჭირახობა უნდა გამოვიჩინოთ და მაგრათ დავიჭიროთ ჩვენი საქმე, რომ ხელიდან აღარ გამოგვეცალოს კარზე მომდგარი ბედილბალი.

— ეგ ყველაფერი კარგია. მარა, რომ ამბობენ „ეშმაკებს ღვირო არსად ქონდათ და ტიკებს-კი ალბობდნო“, შენი საქმეც სწორეთ ისეა. ჯერ ეგზამენი არ დაგვიჭერია, მრავალი არ გვიშოვნია, ღვდლათ არ უკუროთხებივართ და შენ-კი ისე ლაპარაკობ, თითქოს ანაფორაში იყო გამოწყობილი და პრინოდში იჯდე. კარგი ვთქვათ, ეგზამენია დაიჭირე, მრევლი? რომელი მრევლი ამოგიჩვენეს და მოგითხოვს? ვინ გიცნობს და სად გიცნობენ, რომ ამოგიჩიონ ღვდლათ?

— ვაიმე, შენ კიდევ ბავში ყოფილხარ! ცნობა რა საჭიროა? ახლა საქმე მარტო ფულზე არის და მოკიდებული, ფულის საქმეა ყველაფერი. რომელ მაპასახლისაც-კი დავანახებ ოცდა ხუთიანს, გაჭირდა, ხუთ თუმანს, საქმე გაჩარხულია!

— თუნდა ათიც დაგეხარჯოს, რა ზარალი გექნება, თუ კი მოახერხებ?

— მოვახერხებ-კი არა, სულ იორღით წავიყვან საქმეს, შენ მიყურო! ვაჭრობა ვეღარ გავმართე, თუ გაჭირდა საქმე? რაც ახლა იხდი ანღვდლის სასარგებლოთ, იმის ნახევარსაც რომ დაჯერდე, რა წამებაში ვიქნები? რომელი მრევლი არდამყაბულოდება ამაზე? სულ თამა-

შობით მომიწერენ ხელს პრიგოვორზე!
როცა ჩათლუამ სიტყვა საქმეთ გადააქცია,
მაქსიმე მაშინ—კი აღარ იქნეულბდა ღვდ-
ლობის მიღებაში და საქმეც სულ სხვანაირათ
დაიწყო: ჯერ განაჩენი იშოვნა მრევლიდან
და, მერე ეგზამენის საქმეს შეუღდა.

მელანია.

(შემდეგი იქნება.)

გამახსენდი.

(ლექსი აკროსტიხი).

ვაშა დედას, ვინაც შობა შვილი შენებ სასა-
ხელო!..
ამ დღეს, შავდღეს, ვინაც შენით, დააშვენა
საქართველო...
შანგისაგან ჩვენ ცხოვრებას სწმენდლი.. გვიფხარ
სასარგებლო..
არ ზოგავდი ჩვენთვის ნიქსა, ჩვენო ბურჯო,
ჩვენო მკველო..
შასა დასდებს შენს ღვაწლს, შრომას, საყვა-
რელი შენი ერი:
შენგან გამოფხიზლებელსა ვერ დაჩაგრავს აწი
მტერი,
არც შედრკება!.. წინ, წინ გასწევს!.. შენით მხნე
და ღონიერი...
ვაშას გძღვნიდა, ვაშა გიძღვნა, ვაშას გიძღვნის
მადლიერი...
მს ეს არი, გენაცვალე, ერკვევიან შენი ძმები.
ლელოს სახვენ და, თუ შეძლეს, გაიტანეს...
ძლიეს მტრები..
არწივი, თუ კრილობისგან გამომთელდა.. ნა-
ხა მთები...
სამარეში ჩამოგდახებთ,, და იქ დატკბეს შე-
ნი ძვლები!..

გორგი.

გადაგდებული ყვავილი.

გუძ. კლ. გერხამიას.

აი, ყვავილი... დამქნარი ყვავილი..
ვილაცას გადაუგდია ამ შარაზედა...
როგორც უმაქნისი ჩვარი, გადაუგდია
იგი მტვერში და არხენათ გადგო-
მია ცხოვრების გზასა...
საწყალობელი ყვავილი!..
რა დამქნარია...
თლად დაცრიატებულა, მარა მაინც შე-
უნახია მომხიბლაობა, ვით იმ ქალწულის დამ-
ქნარს თვალებს, რომელნიც უიმედოთ გაყუ-
რებენ მუხანათ მიჯნურის კვალსა... დამქნა-
რი მეტყველებით გაყურებენ მაცდურის კვალს,
თუმკა დარწმუნებული არიან ისევე ვერ და-
ბრუნებენ მას, ვით ვერ შეისხამენ ამ ყვითელს
ფოთლებს ეს მომტირალი ტირიფის ტოტნი...
მომხიბლაფია ჯერ ისევე ეს მქნარი ყვა-
ვილი, მარა აღარაფინ აქცევს ყურათლებას...
აღარაფინ ჩერდება მასთან, რომის ფოთ-
ლებზე... სასხასა ფოთლების ჩრდილში განა-
სვენოს მოქანცული სული... მოიფინოს სუ-
ლის ტომის ძებნით დაღალული ოცნება.
აი, უკვე რამდენიმემ გადაუარა ფეხით...
აი, გასრისეს კიდეც და არც ერთს მათ.
განს არ მოსვლია აზრათ აელა იგი და ეხსნა
შებოლოწვისგან ის ყვავილი, რომელიც ერთ-
ხელ ისე ნაზათ იყო მოსვენებული ტურფა
ქალწულის კოკობ მკერდზე... არაფის გაუფი-
ქრია, რომ სწორეთ ეს ყვავილი აშვენებდა იმ
კეკლუცს, რომლის ნახვამ ღვთაებრივის ეშხით
აღაგზნო მგონის გული და შექნა ჰომნი უკვ-
დავ შევენების...

* *

ჩემო გულიკო... ჩემო პაწაწავ!.. რატომ
აგრე გაცრეცილხარ... რა გაფითრებული უყუ-

რებ ამ გადაგდებულს ვარდსა... რა გაკანკა-
ლებს, გენაცვალე... რა დაგემართა?..

შენ სტირი, გულიკო... შენა ქვითინებ,
ჩემო სიცოცხლე... რა, რა გატირებს?.. გას-
ლუკუნებს, ასე რა ამოსკვნით... ისეთა(კ სუსტი
და მიღებული რატომა დნები, რათ იხვარსლები
მღულარ ცრემლებით...

პასუხს არ მაძლევ ძვირფასო... პასუხს არ
მაძლევ, მარა მიგიხვდი... შენი ბედი მომაგო-
ნა დამქენარმა ვარდმა... მომაგონა, რომ ერთ-
ხელ შენც ამ ვარდსავით იყავი გადაფურჩქნი-
ლი ტრფობის სხივებით... ერთხელ, შენც ამ
ვარდსავით გააზიზებდენ. მარა არ გაუვლია
დიდ ხანს, რომ მოგიმწვანილეს და მიგატო-
ვეს... ამ ყვავილსავით უგულოთ... უღმობლათ
მიგატოვეს ამ ტიალს სოფელში, სადაც ტლან-
ქია, ახ, რა ტლანქია და დაუნდობი ადამი-
ანი...

დ. თურდოსპირელი

დაბა შუმსკი. 28 ენკენ. 1915 წ.

მ ა რ ტ ო ო ბ ა .

ჩემ საკანში არ სწვდება ხმათ გუგუნნი.
თავს დამწივის, ვით ქარიზხლის ზუზუნნი!...
მე მარტო ვარ... გული სევდით ილევა,
შავი ფიქრი შავათ ღელავს... ირევა...
რკინით ხლართულ ფანჯრის იქით ცის ნაჭერს
მზე არ აფრქვევს მოციალე სხივთ ნამქერს...
შავათ შლილი, დაწეწილი ღრუბლები
დასრიალებს, როგორც ყორნის გუნდები...
ბუნებაო! რა გაგლოცებს?.. რას ტირი?
აყვავებულ მთა-ველს რატო დასტირი?
შენ ხო მალე მოიქარგი სხივებით,

დაშვენდები მარგალიტის მძივებით;
მზის ღიმილი ალერსით დაგადნება,
ზე-ალმაფრენ შევბათ ანაკადლება!
ამ გულმა-კი კაეშანით დაგულმა,
მარტოობის ცრემლებით დანამულმა,
ვის მიენდოს?.. ვინ მოფინოს სიამე?
ვინ მომიძღვნას საალერსო ია მე?!

მეგობარო! შენკენ მოვჭრი ოცნებით,
სალამს გიძღვნი, სალამს წრფელი კოცნებით!
ხომ ისა ხარ, როგორაც გულს ეწამე?
სად ხარ, სადა?! დახე, როგორ ვეწამე!
მარტოობა გულს მისერავს... შენკენ ვჭრი...
აღარ მიშვებს ბორკილები.. ცრემლებს ვღვრი!..
ნუ თუ ისე დამეხვევა ქია მე,
რო ვერ ვიგძნო ერთი წუთის სიამე?!
ნუ თუ ისე ჩამთქავს მიწა ტიალი,—
ვერ ვიხილო სანატრ მზისა ციალი?!

სატრფოვ! ქენება გულის ნაზი ვარდები,
სულში სევდის ცეცხლს აღვივებს ღარდები!..
მენატრება მე შენი ხმა ნარნარი,—
გულს მიკოდავს ბრბოს ველური ხარხარი!..
ირგვლივ ფთებს შლის რაღაც შავი ქაოსი,
თითქო ვიგძენ სუნთქვა სასაფლავოს!..
მოციმციმდი! გამიშუქე ეს არე!
შენ მოგელი, შენ გულის მზე, მკენესარე!
მალე, თორე ჩვენი ყოფნა წამია,
მარტოობა ამ წამისთვის—შხამია!
ოჰ, უშენოთ, ვინ მომფინოს სიამე?!
ვინ მომიძღვნას საალერსო ია მე?!

აბოლი მუშა.

სად არი ღმერთი?!

ღამეა.

ოდნავ ბუტუბავი სანათური მინათებს კარებ დახშულ ვიწრო საკანს.

ძალზე მისუსტებული ვწევარ ჩემს ტახტზე.

ცხელი ჰაერით გულშეწუხებულს, სულ თქმა მიძინებდა...

ოფლის ნაკადულებით საესე თვალები-მეწვის და, მითვე გალუმბულ ტილოს პერანგისა და თივის ბალიშის მყარალი სუნი მიხუთავს სულს...

რა ვქნა?! ამ სიცხისგან ზაინც, როგორ ვიხსნა თავი?!

ავდგე და გავიარ-გამოვიარო?

ნება არა მაქვს... დამსჯიან...

მივადგე რკინით დახლართულ პატარა ფანჯარას? მიეუშვირო გახურებული შუბლი და გულ მკერდი გრილ ნიაფს?

დავეწაფო იმ ბუნების შეენიერებას?

აკრძალულია... მომკლავს ჯარის კაცი...

მე-კი მეძინებდა ეს... სიცოცხლის მოყვარული ვარ! ამიტო ვემორჩილები ხედრს, ვურიგდები მწარე ცხოვრებას... ვწევარ ოფლში მკურავი და, მსურს მივენდო ერთათ-ერთ ტუსადის მასულდგმულებელ ტკბილ მომავლისკენ მსრბოლ ოცნების ტალღებს. ეგებ, ამან მიხსნას, ეგებ, წუთიერათ მაინც გამაშოროს ამ ჯოჯოხეთურ წამების სამფლობელოს, და გადააფრინოს იქ, სადაც გამოიკვირტა ჩემი სიცოცხლის ნორჩი ყვაილი და ცხოვრების უღმობელმა სუსხმა გოუშლელათვე მოსწყვიტა!..

მარა სადა მაქვს ამის დრო!..

—ვაი, დედა!...—ვაი ნანა*!...—მესმის გულ-გამგმირავი ხმები საავათმყოფოს საკნებიდან, და ქრება ოცნება მწარე სინამდვილეში.

—სად არი ღმერთი?!. სად არი ღმერთი?!

თი?!.—ღმუის ვიწრო საკანში გამომწყვდეული შეშლილი ტყვე...

სხელი უთრთის, სახე უთრთოლავს, თვალები უელავს, ვით სისხლის ტალღები; მოურიდებლათ ეხეთქება საკნის კედლებს, გა, მალებული დაეძებს რაღაცას და, ვინ იცის-რას!.. ვინ იცის, რა უყვარდა წუთის-სოფელში მას, რა დაესახა სიცოცხლის შემაკავშირებელ ღვაებათ ბუნებაში! ცხოვრების დაუნდობელი ტალღები-კი გადაეღობენ, მისი სურვილით გატაცებულს, მისკენ დაუცრომლათ მსრბოლს... ვინ იცის, რა თავგანწირვით ებძოდა მათ, მარა ვერ გადათელა იგინი და, ბძოლით დაქანცული, დამარცხებული გამორიყეს იქ, ამ სააქაოს ჯოჯოხეთში...

ბუნების შვილს, ბუნებისგან მინიჭებულს, გაუხადეს მიუწდომლათ...

ჩაუქრეს მისი სულის აღმამტრენი რამ. დაუარგეს მისი გონების მამოძრავებელი ძალა და იმასთან ერთათ ამანაც დაკარგა გონება...

მარა ის ერთი რამ კიდევ არ დავიწყნია სრულიათ; ჩანს კიდევ არ ასვენებს მისკენ ლტოლვილების სურვილი; მიტომ აფეთებს თვალებს, დაეძებს გამალებული და, რა ვეღარსა ხედავს მის აჩრდილსაც-კი მისი დაქსაქსული გონება, საზარლათ ღმუის:

—სად არი ღმერთი?!. სად არი ღმერთი?!.— და კვლავ ეხეთქება საკნის დახავსებულ კედლებს...

მ. ნაჭკელი.

ორი სიზმარი.

—:—

ბძოლის ველი გავლილია. ირგვლივ კვამლთა ღრუბლებში, ქალაქებს და სოფლებსა

ძირავეთ ცეცხლის შორევი,
 მტრები მტრებსა შებმიან,
 აყენებენ სისხლის ტბებს
 და ერთმანეთს უშენენ
 ტყვიებსა და ყუმბარებს.
 აქ შრაპნელი ყველაფერს
 ფშენის და ანადგურებსა,
 სილას, ქვებს და კაცთა ძვლებს
 ერთმანეთში ურევსა;
 იქ ერთმანეთს მტრები მტრებს
 ხელჩართული ებძვიან,
 ხმლებით თავებს უბობენ,
 გულში ხიშტებს უყრიან.
 ზარბაზნების გრიალი
 არე-მარეს აყრუებს,
 გულთ უგმირავთ ტყვიები
 თავბრუ დასხმულ მეომრებს;
 სისხლთა ტბები მატულობს,
 ხმლები ბწყინავს ჰაერში,
 ათასობით გვამები
 ყრია სისხლთა ლვარებში.
 აჰა, ორი მოლაშქრე
 ერთ-ერთისკენ იწევენ,
 იმარჯვებენ ხელთ ხიშტებს,
 ერთ-მეორეს უღერენ.
 თვალსა თვალში უყრიან,
 ვით ნაცნობნი დიდი ხნის,
 ორთავენი უცქერენ
 ღრმა უბსკრულსა სიკვდილის
 და არ უნდათ ერთმანეთს
 სიცოცხლე რომ წაართვან...
 მარა ვერ იგონებენ
 ხერხსა, თუ რა უნდა ქნან.
 აშ დროს იქვე შრაპნელი
 დავარდება, გასქდება
 და ორთავე მოლაშქრე
 სასიკვდილოთ გახდება.
 „ჰე, საწყალო სოსიკო,

სად ესაღმი სიცოცხლეს?
 სად დავმარხვენ უბედურს,
 მოშორებულს შენს მშობელს?“.

ერთი დაჭრილთაგანი
 ასე კენესის და გოდებს,
 თავის სისხლში ისვრება
 და პირიდან ყრის დორბლებს.

აელვარებს ცის კიღურს
 ჩამავალ მზის სხივები
 ქვეყნათ წვება სიბნელე,
 ღამის შავი ჩრდილები.
 ბძოლის ველი ისვენებს:
 არ ებმიან მტრები მტრებს,
 კვამლთა შავ ღრუბლებიდან
 ღამე ფთებსა იკეთებს.
 მოწყალების და-ძმები
 დაჭრილებსა შევლიან
 და მკვდრებს სანიტრები
 ორმოებსა უთხრიან.

საველე ღაზარეთში,
 მრავალ დაჭრილებში
 წევს ერთი მოლაშქრე
 ნატყვიარი მკერდში.
 სახეზე არა აქვს
 ფერი სიცოცხლისა,
 თვალებს ჩაქრობია
 ცეცხლი სინათლისა,
 მოწყალების დები
 კრილობებს უხვევენ,
 თუმცა მის მორჩენას
 აღარც-კი ფიქრობენ.
 „მითხარ, მითხარ, დაო,
 განა არ მოვკვდები?
 ნუ თუ ოდესმე-კი
 ფეხზე წამოვდგები?

კვლავ მწყურია ყოფნა
 და სიცოცხლე ქვეყნათ,
 მინდა ვინაჲარდო
 მათ და მიდორ ველათ:
 მინდა ვნახო დედა,
 ჩავეკონო გულში
 და ვახარო სიკვდილს,
 რომ გადავრჩი ჩხუბში.
 მითხარ, მითხარ, დაო,
 განა არ მოგვედები?“
 ნუ თუ ოდესმე-კი
 ფეხზე წამოვდგები?
 ასე ეკითხება
 ის დას მოწყალეების
 და წუხს, მწარეთ კუთავს,
 ოხრავსა და კვნესის,
 „ნუ ნადვლობ, ყმაწვილო,
 სულ მილე მორჩები
 და დედის ნახვასაც
 აღრე ეღირსები“
 ავით მყოფს ამშვიდებს
 დაი მოწყალეების
 დაუნერგავს გულში
 იმედს მოკეთების...

დიდხნის უძინარის
 თვალებს ელოულება,
 უნდა დაიძინოს,
 უნდა მოსვენება...
 მარა ტკივილები
 შველას არ აძლევენ,
 უშხამებენ ყოფნას,
 მწარეთ აკვნესებენ.
 მოწყალეების დაი
 წამალს აღევიანებს,
 საბანს შემოუკეცს,
 ბალიშს გაუსწორებს

და ტკბილი სიტყვებით
 გულს უთბობს, უხარებს,
 რო მორჩება მალე,
 ნახავს თვისიანებს.
 ავითმყოფს ეტყობა
 ცოტა მოკეთება,
 თვალებს ხუჭავს სწრაფლ
 და დაეძინება...

ძილში სიზმრათ ხედავს:
 ომსა გათავებულს,
 ხალხთა სისხლის ღვრასა
 უკვე დასრულებულს
 სიხარულით სავსე
 სამშობლოში მიდის,
 უხარია ნახვა
 თვისი მშობელ დედის,
 უხარია სატრფოს
 ნახვა ეღირსება
 და იმისი ტრფობის
 ცეცხლით დაიწვება.
 მიდის მთის ბილიკით,
 მიდის სოფლისკენა,
 სადაც უგემია
 ბავშობისა ღებნა.
 ხედავს, მთის კალთებზე
 სოფელს დაფენილსა,
 მიდორ ჰალ ველებსა
 გადამწვანებულსა;
 შორით მოჩანს მუხა
 მის ეზოში მდგარი,
 ტოტებ გადაშლილი,
 ცამდი ანაყარი;
 მთის ნაკადი გიჟი
 მიხტის, მირაკრავს
 და სოფლისა ამბებს
 მას უთხრობს, უამბობს.
 აჰა, თვის ეზოსაც

მიუახლოვდება,
 კიშკარში როშედის,
 სახლის წინ დადგება
 და შეძახებს დედას:
 „დედავ, გამო კარში,
 მე ვარ სოსიკოვო,
 მოვედიო სახლში“...
 დედა შვა კარებში
 წამსვე გამოჩნდება
 და სიხარულითა
 ფეხზე ველარ დგება.
 „შვილო, შვილო, სოსო,
 ვის ხედავს თვალები?
 აწი აღარ ვჩივი
 ამ წამს თუ მოკვდები“
 და დედა და შვილი
 ერთმანეთს კოცნიან,
 სიხარულით ცრემლებს
 ორვე ერთად ღვრიან...
 ეზო, დერეფანი
 ხალხით გაივსება;
 უხარიათ ყველას
 ომის გათავება;
 ულოცავენ სოსოს
 ჩხუბში გადარჩენას
 და თვის სამშობლოში
 უკლოთ დაბრუნებას.
 სოსო უხსნის ყველას
 ომში გაჭირვებას:
 შიმშილ-სიცივესა,
 ათას სხვა წვალებას,
 დღე-ღამეებისა
 გათანასწორებას
 და მთელ კვირაობით
 მწარე უძილობას.
 „აკაპებში“ ყოფნას
 ხელში თოფებითა,
 წელზე გადაკიდულ
 ბოხჩა-ტყვიებითა.

ხალხში ზოგნი ოხვრენ,
 ტირიან, გმინავენ:
 იგონებენ მამებს, ძმებს
 და ჩხუბში მომკვდართა.
 ამ დროს ალაგესთან
 თამრო გამოჩნდება,
 ისე უბწყინს სახე
 მზე(კ ვერ შეედრება.
 სოსო აღტაცებით
 მისკენ გაიქცევა
 და თვის საყვარელსა
 ყელზე გადებევა.
 სოსო გძნობიერათ
 ხალხს მიმართავს ასე!
 „მეზობლებო, დღეს მე
 სიხარულით სავსე,
 რო გადავრჩი სიკვდილს,
 მოველ ჯოჯოხეთით,
 საცა ხალხი ხალხს უღეტს
 მახვილით და ცეცხლით,
 გატყობიებთ რო ხვალ
 მაქვს ღვინი, ქორწილი,
 ცოლათ მომყავს თამრო,
 დიდხნის დანიშნული
 და თქვენც დამესწარით,
 დამეპატიეთო,
 ჩემი სიხარული
 გაინაწილეთო“...
 დაპირების ნიშნათ,
 ყველა თავს უხრიან
 და სხვა და სხვა გვართ
 წამს დაიშლებიან.
 დედა ხელაპყრობით
 ღმერთს მადლობას უხდის,
 ცრემლი სიხარულის
 თამროს თვალოთ ეგუბვის.

ავანტიურის აღვიძებს
 მწარე ტკივილები.

და წამსვ შორდებიან
 მას ტკბილი სიზმრები
 „ნეტავ სადა ვარო?“
 წამოიძახებსა
 და ვარშემო თვალებს
 იქ მიმოაელტებსა.
 „ნუ თუ ყოველივე
 მოჩვენებააო?
 აკი ხვალე ჩემი
 ქორწინებააო?..
 დედავ ძვირფასოვო,
 მშობელო დედავო,
 ნუ ოუ ვეღარ გნახავ
 და ვერ შეგხედავო?
 რისთვის ვკედები, რისთვის,
 რა დავაშავევო?
 სად მითხრიან საფლავს,
 სად დაგმარხავენო?“

.....
 და თვალეებში ცრემლი
 დაეგუბებო
 და გულსაკლავათა
 აქვითინდებო.

დაქრილებთ შორის
 სოსო არ არის,

ესმის არავის;
 მის საწოლზედა
 წვეს სხვა დაქრილი.
 რომლის წუთები
 არის დათვლილი.
 გათენების ხანს,
 როს სინათლემ დღის
 დაფხრიწ-დაგლიჯა
 წყვილი ღამის,
 იქვე მახლობლათ
 სოსიკოს ცივს გვამს
 სანიტარები
 უთხრიდენ მიწას.

სან. გურული,
 (დასასრული იქნება).

**ქველევური დღეობა — დღესასწაული-
 ბი სოფლათ *).**

(მოგონება.)

ამ გვართ, ამ თამაშზე მეც ძალიან
 ატორდიალებული ვიყავი ერთხანათ ყმაწვილო-
 ბაზე დამეტათ მიყვარდა. ერთხელ, ამ გადამეტე
 ბულმა სიყვარულმა უცნაური გამბედაობა
 ჩამადენია. მარტილში ვმსახურობდი ღვდელ-
 მთავრის კრებულში. სულ ოცი წლის ვიქნე-
 ბოდი. იქ მაშინ ღვდელთმთავრათ ბესარიონ
 დაღიანი იყო. მეტის მეტ პატივს მცემდა და
 ხშირათ, არა ბატონურათ, ამხანაგურათაც მექ-
 ცეოდა. ამით მეც ვთამამობდი. ოღონ მის
 წირვაზე ნუ დავაკლდებოდი (როგორც გალო-
 ბელი) და რე სხვა სავალდებულო სამსახურს
 ვერავინ მომთხოვდა, სხვა კრებულსავით. ამგვა-
 რათ, როგორც ხშირათ თავისუფალი, არსად
 არ ვაკლდებოდი დღეობას. თუ სადმე
 სავარგისი ახალგაზდა იყო, უთუოდ,
 ჩემი შეგობარი იყო. სადმე, თუ დღეობას
 დავაკლდებოდი, დიდ დასაკლისათ და საწყე-
 ნათ მიმაჩნდა. ყოვლათ საღვდელოს სასახლე
 სობოროს გალავანში ქონდა, და მეც
 ჩემთვის იქვე მეორე სახლში მქონდა ბინა.

იხ „ცხვრება“ № 3—3. დასასრული.

აღდგომის მესამე დღეს, დღესასწაული იციან მარტვილის მახლობლათ. საჯირითათ გამოსადევი ცხენი არ მყავდა და ამით დაღონებული ვიჯექი სახლში მარტო. ყ—დ საღვდელღოს—კი სამი ბედაური ცხენი ება თავლაში. წამძლია ყმაწვილურმა სურვილმა, მივედი მეჯინიბესთან. შევეხვეწე: ჩემო ბეკოია, ერთ მანათიანს გაჩუქებ და ბატონის ცხენს წაიყვან დღეს ჯარში—მეთქი. ძალიან შორს დაიჭირა. ბატონი ხო შეიტყუოს მაგას და იმ წამს გამაგდებს და არც გაგდებას დამაჯერებსო... მისი მსჯელობა მართალი იყო. მარა მე შემდეგი რჩევა მივეცი: თხოვე ბატონს და სახლში გავიშობს საღამომდი მეთქი (ბიქს ახლოს ქონდა სახლი). თუ შეიტყუას, უთხარი: თავლაში დევტოვე და, რა ვიცი, ბატონო თქვა; ეპისკოპოსი საჯინიბოში არ ჩავა (ცოტა მოშორებით იყო საჯინიბო) და ისე, რას შეიტყუაფს—მეთქი. ამ მოხერხებულმა რჩევამ და ერთმა მანათმა ისიც მოხიბლა, დავითანხმე, ცხენი შემეკაზმა, შევეჯექი და წამსვე ჯარში ამოვყავ თავი... დაიწყეს ჯირითი. დაქრის ჩემი ცხენი შურდულივით, ვისაც გამოვინთები, წამში გაუჩნები იქ; ასე რომ ისე ახლო მისვლის შემდეგ, ჯირითის დაცილება სირცხვილია. ძვირათ გავუშვი ვინ მე, რომელსაც ჩემი ნასროლი ჯირითის გემო არ ვაჩვენე. მარა ძვირათ დამიჯდა მეც ამ დღის ჯირითობა.

სწორეთ შვა თამაშობაც არ იყო ჯერ, რო სალაცადან ეპისკოპოზის ძმა ნ. დადიანი გაჩდა, რომელსაც კირ. ცომაია (ეპისკოპოზის ხშირი მხლებელი) უახლია. თქვენ მტერს მისთანა, მე წელში გამწვა. მარა, ვიფიქრე: აწი, რაღა დროსია, რაც მომივა, მაინც გადაწყვეტილია—მეთქი და გულმოსულმა დაუზოგავათ განვაგძე თამაში. ეპისკოპოზის ძმა მეორე კედრით ჩადგა საჯირითოთ. უყურებს ჩემი ცხენის გაქროლ—გამოქროლებას და უკვირს. ცომაიას—კი თავის შეკითხვაზე ვუთხარი: ცხენი ბატონმა მათხოვა—მეთქი.

დამიძახა ეპისკოპოზის ძმამ. გამოდი გურულო, გამოდიო. გამოვედი ჩვეულებრივათ და, როცა შამოგბრუნდი, მესროლა ჯირითი.

მარა, არა ჩვეულებრივათ, ქოლოკივით მესროლა დიდი სხვილი ჯოხი; როცა დვრიალ—დვრიალით მოდიოდა, ავკარი ახლოს მოსულს ჯოხს ჯოხი და შორს გადავისროლე, თორე, რომ მომხვედროდა გვერდებს ჩამამტვრევდა. ხალხმა სიცილის ხმა გამოსცა.

ცოტა ხნის შემდეგ, სამაგიეროთ გამოვიწვიე. გამოაქენა ცხენი და შვა წრის მერე გაბრუნდა. გავაქანე ჩემი მერანი და შურდულივით მივეუახლოვდი, ვესროლე და პირდაპირ შვა წელზე მივარტყი. ასე რომ ჯირითის თავი სწორათ ქონდა გადაჭრილი, თორე ხორცი ში ჩაერთობოდა. შევატყვე, რომ ემწვავა, მეტათ ეტკინა. მარა ეს ხო თამაში იყო და, აბა, რას მოვეფერებოდი. მე მაინც არ მიამა. ეს იყო და ეს. ჯირითი ვათავდა, მოვცხე და ერთ წამში ცხენი თავის ბავაზე დავაბი. არ გაუგია არავის. მარა იმ ღამეს ძმა ყ—დ საღვდელღოს ესტუმრა და დაწვრილებით უამბო ყველაფერი. ეპისკოპოზი ძალიან გამიჯავრდა. მარა მე—კი გავქრი, ერთ თვეს აღარ მივეკარებივარ.

განსვენებულმა ეპისკოპოზმა გულის შამობრუნება მალე იცოდა და დიდხანს რომ აღარ მივეკარე, კიდევაც წუხდა, თურმე. მერე, განსვენებულმა დეკანოზმა, ეპიფანე გაწერელიამ შემარიგა.

ჯირითობა საუკეთესო გასართობი იყო და, ასე ეთქვათ, კარგი სამხედრო ვარჯიშობა. ეს უნდა იყოს, იმ უძველესი დროიდან შამოდებული, როცა საომრათ შუბსა და რკინის წვერიან ისარს ხმარობდენ. გასართობათ—კი შამოუდიათ, ისე, როგორც ახლა ყენობა იციან თფილისში.

ჯირითი, საღაც ბლომათ კარგი საზოგადოება იკრიბებოდა, იქ იცოდენ, რათგან ამისთვის უფრო დახელოვნებული ცხენოსნები იყო საჭირო. ისე-კი ვერ ხერხდებოდა. ეს თანაში გადაგდეს და, აგერ, ვნ წელიწადი სრულდება, რომ აღარ მინახავს.

საუკეთესო გასართობათ ითვლებოდა კიდევ ბურთის თამაში. ეს-კი ყოველ სოფელში და ყოველ დღეობაზე იცოდენ და ჯერაც არ არი გადაგდებული. მარა, მიუხედა-

ვით იმისა, რო ქაბუკი ახალგაზდა და მოხუცებულიც თანაბარი, მეტისმეტი სიხალისით იღებენ მონაწილეობას, ამ ბოლო დროს ცოტათი ხალისი დაეკარგა და, თუ არა სულ ახალგაზდები, დანარჩენი აღარ ეტანება ბურთის თამაშს. დიდი ხანი არ გაივლის, რომ ესეც გადავარდება სრულიათ.

თამაში-კი ამ წესით იცოდენ: მიღვრის შვა ალავს შეაგდებდენ მაღლა, და უცვინდებოდენ. მოთამაშენი ორ მოწინააღმდეგე დასათ იყო გაყოფილი. ნიშანი იყო დადებული უზარმაზარი მიღვრის თავსა და ბოლოში. ბურთი ერთმხარეს, ერთკენ მიქონდა და მეორე მხარეს—მეორე კედრით. რომელი მხარეც თავის დანიშნულს ადგილზე მიიტანდა უწინ, გამარჯვებულიც ის იყო. დამარცხებული-კი მეტისმეტ სირცხვილს გძნობდა. თამაშში აუარებელი ხალხი იღებდა მონაწილეობას. ქვეითები რო ბურთს ჩაიგდებენ ხელში და ერთი უშველებელი წეწვა-გლეჯვა იყო, ცხენოსნები გარშემო იდგენ და, როცა ბურთს გამოავდებდა ვინმე, მაშინ ცხენოსნები იხვედრებდა და მათშორის იქნებოდა შეხლა-შამოხლა. მარა, თუ მალე ვერ მოასწრებდა ცხენით ბურთის წაღებას, ისევე ქვეითები იხვედრებდენ.

ბევრს ადგილს იცოდენ ბურთის კარგი თამაში. მარა ყველაზე საუკეთესოთ გიორგობის დღესასწაულზე, ხონში თამაშს ასახლებდა ხალხი. ყოველთვის წმიდა გიორგის ტაძრისკენ გაიტანდენ ბურთს (ლელოს) ხონელები, მაშინც, როდესაც ყოველი მხრის ხალხს მეორე კედრით მიქონდა. რა-კი ვერაოდეს მეორე კედრით ვერ მიქონდათ, ხალხი: ამბობდა წმიდა გიორგი ეწვეათ და იმითამ იმარჯვებენ ხონელები ყოველთვის.

ერთხელ, თურმე, სოლომონ მეფემ ბძანა: ყოველ ღონეს ვიხმარ, რო, მეორე კედრით გავატანიო ბურთიო. საუკეთესო ყმაწვილები შეკრიბა, როგორც ქვეითი, ისე ცხენოსანი და, ასე მომზადებულათ, შეხვდა ბურთის თამაშს. ერთმა აზნაუშვილმა—ბეკია ქაჯაიამ დაიჩემა მეფესთან, გლახა ვაშკაცი დამიძახე, ბატონო, თუ ბურთი დღეს არ გავიტანო.

ბურთის სათამაშო ადგილზე, ძალიან მაღალი დასადგომი გააკეთეს მეფისა და მისი ამაღლისთვის. მეფე და მისი ამაღა ზედ შებძანდა და იქიდან უყურებდა ბურთის თამაშს. გავარდა ბური, ეცენ ლომივით მოთამაშეები. ჩაიგდეს ორივე მხარემ ბურთი ხელში, შეჩერდა ერთ ადგილს, არი გალომებული წეწვა-გლეჯვა. მარა ბურთი არც იქით ჩანს ჯერ, არც აქით. მეფე-კი ზევიდან დაყურებს.

ამ დროს ბეკია ქაჯაიამ იმდენი ღონე იხმარა, რო ბურთი მან საკუთრათ იგდო ხელში, ასწია ღონიერი მკლავებით მაღლა შეჯგუფულ მოთამაშეთა ჯგუფში და დიძახა: აჰა, მეფეო ბურთი, ხო ხედაო, მარა არ დამანებესო და შეაგდო მეფისკენ. იმ წამსვე იხვედრეს ხონელებმა და წმიდა გიორგის გალავანში შეაგორეს...

ბურთის სრულიათ გადაგდების მიზეზი ისიც არი, რო დღესასწაულები, სადაც ბურთის თამაშს, ხალისი, შნო და მეტის ელფერი ქონდა, თან და თან ისპობა. ეს იმან გამოიწვია, რომ ამგვარ დღესასწაულებზე მეტის მეტმა სტუმრიანობამ, მით გამოწვეულმა დიდმა ხარჯებმა, მეტი ღვინის სმა და გადამეტებულმა წაჯიუტებულმა ქვიფმა ბევრი ზარალი და უსიამოვნება გამოიწვია. ხალხი თან და თან მიხვდა ამას და მუდამ უსიამოვნებას ამჯობინა, რო უკუადოს ეს მამაპაპათა დროიდან თან შესისხლბორცებული ჩვეულება. ამგვარათ, დღეს, ხშირათ ვხვდებით გაზეთებში: ამე და ამ ტაძრის დღესასწაულზე ჩვენი მოყვრებ—მეგობრები ნულა მობძანდებიო...

ეს დღეობები და გასართობები ქართველთაშორის, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ერთიმეორისგან თითქმის არ განსხვავდებიან. სადაც დავსწრებივარ ერთფერობა უფრო მეტია ყოველგან, ვიდრე განსხვავება.

მე დავსწრებივარ ტაძრის დღეობას სოფელ ბანძაში (მეგრელიაშია), შაურის კარის ეკლესიაზე და აქ იციან ერთი ჩვეულება, რომელიც, როგორც ვფიქრობ, არც ერთ საქართველოს კუთხეში არ უნდა იცოდენ.

დღესასწაული იციან ახალ კვირის მეორე დღეს, ორშაბათს: აუარებელი ხალხი ესწრება სხვა და სხვა კუთხიდან. მოთავდება ჯერ: ცეკვა—თამაში, ჯირითი, ბურთაობა და სხვა ჩვეულებრივი თამაშობა და, შემდეგ, იწყება ის, რასაც მე სხვაგან ჩვენში ვერსად შეხვედრივარ.

გამოდის ერთი შვა ხნის კაცი და დაიძახებს: აბა ჯაშა ბოშეფი,—ჯაშა (აბა, ხეზე, ყნაწვილებო, ხეზე). ამის თქმა და მთელი იმ ტაძრის მრევლი, მოხუცი და ახალ გაზდა, მირბის გააფთრებული. გეგონებათ: მტერზე თავ დასასხმელათ მიდიანო. უცვინდებიან ერთ რომელიმე დიდ ხეს, შეცვივიან ზედ და რამდენი ტოტი აქვს, იმდენი ოთხი, ხუთი შეიწკაპება ზედ. დაუწყებენ ყველა ერთად ნძრევას; იმდენს ანძრევენ, რომ ეს უზარმაზარი ხე შეინძრევა ძირში. ასე ამ ნძრევით წააქცევენ მიწაზე (ნაჯახის, ცულდის და სხვა რამე რკინეული იარაღის ხმარება მოთხრაზე აკძალულია). მოთხრიან, თუ არა, უცვინდება ხალხი, გაიდებენ მხარზე და გასწევენ ტაძრისკენ. ეს აუარებელი ხალხი, ყველა ერთად გალობენ: ყესა კირია ლეესა და კირია (კირიელეისონ). ამას ძალიან ხმაშეწყობილათ გალობს ყველა ერთათ და მთელი ხალხის გუგუნის სასიამოვნო მოსასმენია. ამ გვართ, მიიტანებენ „ეკლესიაზე, შამოარონიებენ ეკლესიას და საკურთხეველის წინ დადებენ.

ამ დროს მთელი ხალხი, ვინც—კი დაესწრო ამ დღეობას, ირგვლივ შამომდგარია ხის გარშემო. მე თვით ბევრჯელ მინახავს ეს სურათი ამგვართ: გამოვიდა ერთი მოხუცი გლეხი, შედგა ამ ხეზე და დაიძახა ხმა მალლა: წმიდაო გიორგი, სასწაულის მოქმედო შენ წყალობდენ ყველა იმას, ვინც შენი დღესასწაულის დაშენდა პატივსაცემლათ მოვიდა აქ. ხალხმა ერთ ხმათ მიუგო: აამენი (ამინ). მიეცი ჩვენს ქვეყანას უხვი ზოსავალი: პური, ღვინო, სიმინდი, ღომი და სხვა და სხვა (ჩამოთვალა). მახსოვს, ვილაც ქალმა დაუძახა: ყანჭი ვეშიგოჰყორდას, ყანჭი (მოსავალი, რომ

ჩამოთვალა, ყანჭი არ დაგავიწყდესო, აბრეშუმისთვის უთხრა). გლეხმა მიიხედა ქალისკენ და უთხრა: ქალები ქვლით იყავით და ყოველთვის სხვილ—სხვილ პარკებისთვის ნუ წუწუნობთო. ჩაურთო ხუმბრობით, რომელსაც ხალხის ხარხარი მოყვა. გლეხმა განაგძო: წმიდაო გიორგი, ვინც ჩვენს ქვეყანას ქურდობით რამე დააკლოს, ამ დროს შეჩერდა და მიიხედ მოიხედა; იქ დაინახა თავადი ბახვა და გიგო ფაღავები და შეკითხა:

პატონი ფაღავა ქო ვთქუაო (პატონო ფაღავა, ვთქვაო?) ბახვამ უთხრა: ქო თქვენი წიგნი მიშა გოშკურუ (თქვი ბიჭო, ვისი გეშინია). გლეხმაც განაგძო; ვინც ჩვენს სოფელს ქურდობით რამე დააკლოს, შენ რისხე იგი და შენი ისარბოძალი ჩაურქვე გვერდებში, არ შეიბრალო, შენი ქირიმეო. ხალხმა დაუდასტურა: აამენიო და თან სიცილ—ხირხარი ატყდა ხალხში. ეს იმიტო, რომ იმ დროს ძალიან გახშირებული იყო სამეგრელოში ცხენის ქურდობა და ახალგაზდათა შორის თითქმის ხელობათ იყო გადაქცეული. ქურდების წყევა ბევრს ახალგაზდას მოხვდა გულში მწარეთ. მარა რას იზამდა. ხალხის განჩინება ასეთი იყო.

ამის, შემდეგ, ხალხი დაიშალა და წავიდა თავიანთ სახლებში.

მე ვფიქრობ, ამ დღესასწაულების გადაღება, იმანკი არ გამოიწვია, რაც ზევით ვთქვით, რომელსაც ხალხი ასახელებს, არამედ ახალმა გაზვიადებულმა, აუტანელმა მძიმე ცხოვრებამ, რომელიც ამ წერილის თავშივე მოკლეთ მოვიხსენეთ.

რ. საჯავახოელი.

კრიტიკა.

ილია ჭავჭავაძე, როგორც ღირიკოსი — პოეტი *)
(27 დეკემბ. 1837 — 30 აგვ. 1907 წ.)

(დასასრული.)

IX.

„ნეტა, ვინც კარგი საქმით
აღნიშნავს თავის დროსა,
ის იქვე ეწაფება
უკვდავების წყაროსა!...“

ილია ჭავჭავაძე.

საქმაოთ მოზდილი ლიტერატურაა და წერილი ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ შესახებ *) პირველათ ეს პოემა დაისტამბა ჟურნალ „ივერიაში“ და მაშინვე დიდი ყურათღება მიიქცა ქართულ და რუსულ მწერლობაში.

იმ დროის საუკეთესო ქართულ გაზეთ „შრომაში“, ამ გაზეთის ცნობილმა კრიტიკოსმა ბოსლეველმა ძალიან მოიწონა პოემა „განდეგლი“ თუმცა, როგორც მახსოვს, პოეტს დასწამა ასკეტიზმისადმი სიმპატია.

აი, სწორეთ ეს უკანასკნელი მხარე ბოსლეველის კრიტიკისა აიღო ბ. კიტა აბაშიძემ, რომელმაც სამართლიანათ დაასკვნა, რომ ილია ჭავჭავაძის „განდეგლის“ კრიტიკულათ განხილვა სრულიათ არ ამართლებს ასკეტიზმს და ბოსლეველს აქ დიდი შეცდომა მოუვიდაო. კიტა აბაშიძის ამ მტკიცებამ ამ ორი წლის წინათ „მნათობის“ ფურცლებზე გამოიწვია ბ. გ. კას წერილები, სადაც ავტორი პირდაპირ ემხრობა კრიტიკოსის ბოსლეველის აზრს და, ამ რიგათ, ილიას პოემის „განდეგლის“ გან-

სახილველათ ამას წინათ ატყდა ფრიად საინტერესო სალიტერატურო კამათი ქართულ მწერლობაში.

„თემის“ მე-49 ნომერში დასტამბულ იყო ბ-ნ ფ. რუშაველის წერილი „კიდევ ი. ჭავჭავაძის „განდეგლის“ შესახებ“.

გულით მინდა ამ ნიჭიერ მწერლებს ჩემი აზრიც მოვაგონო ილია ჭავჭავაძის „განდეგლის“ შესახებ. მარა წინდაწინვე მოვახსენებ იმათ, რომ არც არავის პოლემიკაში ვიწვევ და ვერც ვერავის გამოვეკამათებ, თუ ვინმემ პოლემიკა ამიტება, რათან, გამოცთილებით ვიცი: პოლემიკას ჩვენში სასურველი შედეგი არ მოყოლია არას დროს...

1891 წ. გაზ. „ივერიაში“ მე დავსტამბე ორი ფელეტონი, სათაურით „ზოგაერთა ფიქრი“, სადაც ის აზრი დავასკვნე, რომ პოეტი უარს ყოფს განდეგილობას, ასკეტიზმს სიცოცხლით სავსე ქალის პირით:

„ღმერთს რაში უნდა

ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?..

მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა? განა წყინს ღმერთს, რომ კაცი შეხარის ქვეყანას ღვთითვე დაბადებულსა“?..

„განდეგლი“ მაშინ არი ქვითკრივით მტკიცე და შეურყეველი, როცა იგი ოთხ კედელს შვა არი ჩაკეტილი, როცა მას მდიდარი, შეწიერი ცხოვრების მრავალფეროვნება, სინაზე და სიტურფე თვალიდან მოშორებული აქვს, თორე, რა წამს იხილავს თავ-ბრუ დაიხვევ ცხოვრების სილამაზეს, იმის გულის დიდათ გამახარებელ. მკვთრეთით აღმდგენელ, ამპრიალეზელ ცეცხლს, ისიც ერთბაშათ ირკვევა, იმ წამსვე ძლიერი სიცოცხლისკენ პირს იბრუნებს, თვის „უბედურ გზას“ გულით შეაჩვენებს და დიდი ყვედრებით და გამწარებითაც იტყვის:

„ხსნა ყველგან არი... ხოლო გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსა“...

ამ რიგათ, ბ-ნ ფ. რუშაველის არ იყოს, „განდეგლი“ ნათლად დაინახა, როცა იგი მომჯადოებელ ცხოვრებას პირის-პირ დაუდგა,

*) იხ. „ცხოვრება“, № 2—3.

*) განხილული აქეთ „განდეგლი“ უცხო ენებზე ბ. ბ. ვარლამ ჩერქეზიშვილს, გ. მაიაშვილს და სხვებსაც.

რო მთელი იმისი სიცოცხლე მისგან „არჩეული გზა შუბაქურა“ ყოფილა და მეტი არაფერი...

ამ უკანასკნელი ბოროტი სიტყვების წარმოთქმა „განდევლისთვის“ ხომ უდიდესი ცოდვა იყო და მან ამიერიდან იგი პირდაპირ წაწყვიტა და დაღუპა. განდევილმაც ვეღარ აიტანა ამ სულის შემხუთველ უბედურების სიმძიმე, გულმა ვეღარ აიტანა ეს ტანჯვა და... გარეთ გავარდა. მარა, შესაძლებელია, ეს ერთხელ, ერთი წამიერი შეცოდება სულ თლად სულით და ხორციით წაწყვიტას არ მოასწავებდეს. დიადი მზე ამოვა და იმისი სხივები კვლავ შეამოწმებენ მის წმიდა, ყოვლათ უტოდველ ამ ქვეყნიურ ცხოვრებას. მარა... მზის სხივმაც აღარ დაიჭირა ლოცვანი და, აი, განდევნილიც უმოწყალოთ დაიღუპა...

ბ-ნი ფ. რუშაველი მართალს ამბობს: „ეს არამც თუ დაამრცხება ასტეიზმის, ეს ყველა ხომალდების დაწვაა. ეს ისეთი მომენტია ტრაგიზმის, რომ გამოსასვლელი ერთი და არი — სიკვდილი... და ბერმაც „იქვე სხივ ქვეშ უტყვე სული“.

ეს საკითხი ილიას პოემაში მე სრულიათ გარკვეული მგონია და ამაზე ლაპარაკით თავს არავის შევეუწუხებ. მე მინდა მხოლოდ მკითხველის ყურათღება იმას მივაქციო, რომ ილიას „განდევილში“ არა აქვს ხელოვნურათ, მასთან ღრმად და ძლიერად დახატული ის სულიერი ბძოლა, რომელიც უნდა მომხდარიყო, უეჭველათ, დაყუდებული ბერის არსებაში. და, აი, აქ არი სწორეთ დიდი მარცხი, რომელიც მოუვიდა ჩვენს ნიჭიერს პოეტს.

„განდევილში“ პოეტს უნდა მხატვრულათ ეჩვენებია ჩვენთვის ძლიერი ბძოლა სულისა ხორცთან. აქ პოეტს უნდა დაეხატა და ეჩვენებია ორ-ყოფი თვისება ადამიანის ბუნებისა, ეჩვენებია ის გარემოება, თუ, რა ძლიერათ საშინელი დაუზოგველობით წყნენ იქით — აქით და ბურთივით ათამაშებენ სხვადასხვა, ერთი მეორის წინააღმდეგი გულის თქმანი საწყალომელ კაცს.

პოემა „განდევილში“ — კი თითქმის არც ჩანს ეს სულიერი, შინაგანი ბძოლა. ჩვენი თვალის წინ გამოყვანილია ასკეტი, საწყალობელი დაყუდებული ბერი, რომელიც სულერთიანა დაუმორჩილებია, დაუთრგუნავს სიყვერულის გულის თქმას. პოეტს კარგათ აქვს დახატული მხოლოდ ის მომენტი, როდესაც ლამაზი ქალის სიტურფე სულერთიანა ძღვეს ბერის აღთქმას. მეორე მხარე ამ სულიერი ბძოლისა, ე. ი., როდესაც პირველმა ძლიერმა აღელვებამ, ქარტეხილმა გადაიარა, როდესაც განდევილი მხურვალე ლოცვებით გულწრფელათ შეინანებდა თავის წამწყვედელს, მომაკვდინებელ ცოდვას, როდესაც სულის სიწმიდე სრულიათ დაძლედა ხორციელ გულის თქმათა, სულერთიანა გამოტოვებულია „განდევილში“.

პოემა „განდევილში“ არა ჩანს, რა ბერს ოდესმე ბძოლით დაეძლიოს, დაემორჩილებიოს თვისი გულის თქმანი და ამაღლებულიყოს ამ ძღვეით. ბძოლა და ნამდვილი ბძოლაც შესაძლებელია იმგვარ გულის თქმათა შორის, რომელნიც ძალით, შემძლებლობით ერთმანეთს უღრიან, უპირდაპირდებიან. თუ ერთი გულის თქმა სულ ადვილათ იმორჩილებს და თრგუნავს მეორეს, მაშინ, დამეთანხმებით, ბძოლა აქ აღარ არის.

სულიერი, შინაგანი ბძოლა ყოველ ცოცხალ ადამიანში მახლება ხოლმე და ამგვარ ბძოლის მხატვრულათ, ნამდვილ პოეტურათ გამოხატვამ ძალიან დიდათ უნდა იმოქმედოს ცოცხალ, ფხიზელ ადამიანზე. პოემა „განდევილი“ — კი, უნდა გამოვტყუდ და მოგახსენოთ, ჩემზე ვერ მოქმედობს ძლიერ, რათგან მე იქ ვერ ვხედავ დახატულს ვერავითარ სულიერ ბძოლას. და იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი ნიჭიერი მწერალი ზომამზე გატაცებულია ამ სალიტერატურო ნაწარმოებით, სხვას ვერაფერს ვერ მივაწერ, თუ არ ილიუზიას: თუ კაცი წინდაწინვე ღრმად დარწმუნებულია რომელიმე თხზულების სილიადეში, მაშინ იმაზე, რასაკვირველია, ძლიერ დიდათაც მოქმედობს ეს თხზულება. წინდაწინ აზრის აღებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთანვე აქ უნდა ვთქვა ისიც,

როც მკითხველი ადვილათ შესაძლებელია დიდ შეცდომაში შეიყვანოს უკვდავი ილიას ლექსთა რიტორულმა სილიადემ. მაღალმა კილომ, რომელიც: შეიძლება, ნამდვილ სილიადეთ ჩათვალოს მან ვინც განუვითარებელია ესთეტიურათ.

მართლაც, თუ მიუდგომლათ განვსჯით, ჩვენი სასახელო, თავმოსაწონებელი პოეტი რიტორიკის საშვალებით ცდილობს მიაღწიოს ხელოვნურ, მხატვრულ სისრულეს. აღწერს, თუ არა ქალის სიტურფეს, ბუნების შვენიერებას, სილიადეს, თუ ადამიანის მოქმედებას, პოეტი ხმარობს ყველგან მხოლოდ მარტო რიტორულ, მაღალ კილოს.

მე აქ ავიღებ, მაგალითად, „განდგვილი“ დან“ ქალის სილამაზის აღწერას და მის განხილვას წარმოგიდგენთ.

“თვით მადლს ტრფობისას რომოესურვოს ხორც-სხმულათ ვლენა ოდესმე ქვეყნათ უკუ-უკეთეს სახეს ვერ ინატრებდა თავის სიცოცხლის გამომსახველათ. მაშინც ვინა თქვამს, ვინ ვის აშვენებს, მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!.. თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა ქალს შვენიერსა ვერაფერს ნაკლსა. მის თვალთა ელვით, ლაწვთა შუქ-ფენით გულ მკერდის რხევით, ვინ არ ათრთოლდეს! დახე მის ტუჩთა! თითქო თვით ტრფობას თვისნაზი კოცნა ზე დაჩენოდეს. ვის არ მოიხმრობს, მოინადირებს ყოვლათ ძლიერი შვენიერება!.. თქმულა მხეციც — კი გაფთვრებული მის წინ დატკბება და დაწყნარდება. და დაუწყნარდა. ძალს შვენებისას იგი მწირიცა მყრალი, გულ-მშრალი და უცოდველის გულის ტკივილით ქალს შეაჩერა ტყვე-ქმნილი თვლი“...

თქვენც კარგათ ხედავთ, რომ აქ არ არის არც ერთი სიტყვა დამახასიათებელი რეალურათ, მხატვრული სილამაზის და სიტურფისა. ცალიერი ზოგადი სიტყვები: „მადლი“ „ტრფობა“, „ხორც-სხმულათ ვლენა“ „ტრფობის მადლისა“, „შვენიერება“ დასხვ. შეადგენენ მხოლოდ მარტო განყენებულ ცნებებს, რომელნიც ლეარულათ ვერაფერ სახეს, თუ ხატებას სილამაზისას ვერ წარმო-

მოგვიდგენენ, ვერაფერს ცოცხლათ ვერ გამოხატვენ,

გარდა ამისა, არც აქ არი ცოცხალი ხატება სილამაზისა: „მის თვალთა ელვით ლაწვთა შუქ-ფენით, დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას თვის ნაზი კოცნა ზე დაჩენოდეს“... ეს სულ ისეთი სიტყვებია, რომელნიც ყოველ არაპოეტს, მოაზრე, მწიგნობარ კაცს მოადგება ენაზე და, ამიტომაც, არც გულს ხედვებთან, არც გძნობა-გონებას.

რაკი ნამდვილი პოეტური სურათები არა აქვს, პოეტი ცდილობს შეაესოს თვისი ნაკლი მაღალი, ზარივით მოკრიალე ფრაზებით. მაგალითად: „თვით მადლს ტრფობისას, რომოესურვოს ხორც-სხმულათ ვლენა ოდესმე ქვეყნათ, უკეთეს სახეს ვერ ინატრებდა თავის სიცოცხლის გამომსახველათ. მაშინც ვინა თქვას, ვინ ვის აშვენებს, მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა“... აბა, კარგათ ჩაუკვირდით ამოწერილ სიტყვებს და გულწოფელათ, მიუდგომლათ თქვით, მკითხველო, უმატებენ, თუ არა, რასმე ეს ფრაზები?!

პირიქით. ეს განყენებული, ზოგადი სიტყვები მხატვრულ ნაწარმოების კომპარატს მოთხოვნადებს აშკარათ დალატობენ, პოეტურ ცხოველ-მყოფელობას და მრავალფეროვან სურათთანობას გაუტრბიან და წმინდა პროზაიკულ უბრალოების ბეჭედი აზის ქალის სილამაზის აღწერილობას.

მართალია, იდეალისტური კრიტიკა, კრიტიკა სახელოვან ლესინგისა მოიწონებდა *) ასეთ მაღალ კილოთი, ძლიერის ეპიტეტებით, განყენებული სიტყვებით ქალის სიტურფის გამომხატვას. მარა დღეს, ახლანდელ დროში, რეალული კრიტიკოსის-ტენის შემდეგ, ძალიან კარგათ უნდა ვიცოდეთ, თუ, რა ფასი, რა ღირსებაც აქვს ასეთ აღწერას სალიტერატურო პოეტურ ნაწარმოებში.

ჩვენი სიტყვების დასამტკიცებლათ მე აქ

*) იხ. ჩემი სტატიები: პოეტოლოგისინგი. აკაკის „კრებული“ №-№ 1—3. 1898 წ.

არ მივმარსავ სოფლიო ლიტერატურას და იქიდან არ მოვიტან მაგალითებს რეალურათ დახატულ მინუშებს ქალის ფიზიკურ სილამაზისას, რათგან თვით ჩვენი მშობლიური ახალი ლიტერატურაც იძლევა იმის ცოცხალ მაგალითს. მე მოგახსენებთ აკაკის პოემა „ნათელაზე“. აკაკის დიდი პოეტური ტალანტი შეუდარებელი ძლიერებით, მასთან ნამდვილი და ქეშმარიტი რეალურის-ელემენტებით აღწერს „მოდი ნახის“ პატრონის, ქველი წერეთლის ასულის — ნათელას ზეციურ სილამაზეს:

„ბევრია საქართველოში
პირთა მზე მზეთ უნახავი,
მარა „ნათელას“, რო ჯობდეს,
არავინ არი მნახავი.
ტანადობა აქეს ალვის ხის
და თვალადობა მთვარისა...
ლიმილი ცისკრის ვარსკვლავის,
სხივოსან მოელვარისა.
ვარდს მიუძღვნია ელფერი,
სინაზე — ტურფა იასა;
ზედ შუქი მოუფენია
სამოთხის კარსა ღიასა.
გიშერი შავი თვალები
სამოთხის ჩამსახველია!
კოჭებამდი ცემს ხუჭუჭი,
შავი, უკუნი, ბნელია.
ქალია ქველი წერეთლის
პატრონი „მოდი-ნახისა“,
უნებლიეთად დამგები
სასიყვარულო მახისა“.

თქვენც ხედავთ, ამ ხელოვნურ აღწერ-ილობას განმარტება აღარ ეჭირვება.

ავიღოთ ახლა მეორე მაგალითი „გან-დეგილიდან“. მარა სხვა სფეროდან და გავშინჯოთ, თუ როგორ აქეს ავტორს ხე-ლოვნურათ მთა აღწერილი.

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შესებან,
სად წიქა-თოვლნი, ყინულათ ქმნილნი,
მზისგან აროდეს სრა ღნებთან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიაშული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ქეჟა ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოთ შთენია“...

მკითხველი ადვილად დამეთანხმება, დი-დი წარმოდგენა არ ჰქირდება ადამიანს, რო ზემოხსენებული მწირი, სიცოცხლეს მოკლებუ-ლი სურათი დახატოს. პოეტმა გააცალა თვის სურათს ყოველივე ის, რაც-კი მას სილიადეს, სიტურფეს, და ცხოველ-მყოფელობას მიანიჭე-ბდა და, რასაც-კი ცოცხალი წარმოდგენა და-ქირდებოდა. ჩვენი მგოსანი გვეუბნება, რომ იქ, სადაც „განდეგილი“ განმარტოებით ცხოვრობდა, არაფერი არ იყო სიკვდილის მე-ტი, იქ სუფევდა მხოლოთ სამარისებური მყუ-დროება და ქარი ქეჟა-ქუხილით...

ეს ფრიად გამარტივებული სურათი კავ-კასიის მთის აღწერისა არ გამოიწვევს ადამიანის სულში გაკვირვებას, გულის აღტაცებას და დიდ სიამოვნებას. პირ იქით, იგი გამოიწ-ვევს მხოლოთ მეტათ უსიამოვნო გძნობას ბუ-ნების სისაწყლისას, უბადრუკობისას, სიღარი-ბისას....

„საზოგადოთ, ნათქვამი მაქვს მე ზევით,
ამ ჩემ წერილებში: დიადი კავკასიის უშვენიე-ნიერეს, გასაცვიფრებელს ბუნებას ისე, როგო-რც შავს ზღვას ჩვენში, ჯერ არ გამოჩენია
დიადი და ღირსეული მხატვარი-აღმწერი, შე
სანიშნავი ნიჭით დასაჩუქრებული პოეტი. ამ
მხრივ ყველა ჩვენ პოეტებზე მაღლა დგანან
აღექსანდრე ჰავკავაძე და გრიგოლ ორბელია-ნი“.

„კავკასიის ბუნების სილიადე, მრავალფე-რობა, ფერად-ფერადი და საკვირველი სანახა-ობანი პირველათ ალ. ჰავკავაძემ ასწერა ერთ თვის ლექსში და ისეთი სისრულით ასწერა, რო მისთვის ამ მხრით წინ არავის გაუსწვრია. ეს ლექსია: „კავკასია“ (იხ. ი. ს. ფანცხავას თხზუ-

ლებანი). ალექსანდრე ჯავჭავაძის კრიტიკოსს, თვისი აზრის დასამტკიცებლათ, მოაქვს ადგილი დასახელებული ლექსიდან, საიდანაც, მართლაც, ნამდვილათიხატება სურათი კავკასიის დიდებულ შვენიერებისა. მრავალ ვერ იმოვწერ ამ ადგილს აქ, რათგან იგი დიდ ადგილს დადაიქერს აქ და მართო გრიგოლ ორბელიანის ლექსიდან მოვიტან მხოლოდ ოთხ სტრიქონს:

„სად მთანი ყინვის გვირგვინით
 არიან ცამდი ასული
 და მდინარენი ზახილით
 ზვირთის ზვირთებზე მსროლელნი;
 უფსკრულნი ჩაბნელებულნი,
 კლდენი თვალ-გაღუწვდენელნი...
 სად მონადირე სდევს ჯიხვსა
 და მის ქვეშ ვლენან ღრუბელნი“!..

ჩვენი მთების დიდებული სანახაობის სურათი ამ ორ პოეტზე უკეთესათ ჯერ არავის დაუხატავს ქართულ ლირიკაში.

ხომდეკლი.

ბაღკანეთი და სპარსეთი.

ეს სტატია ისტამბუბა სწორეთ იმ დროს, როცა სერბეთის დღეები პოლიტიკურათ საკუთარი ცხოვრებისა უკვე გაქრა და ჩერნოგორიის ბედიც ბეწვზეა...

თუმცა ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოების პოლიტიკის პრესას დიდი განგაში ქონდა ატეხილი ამ ორ უბედურ სლავიანთა სახელმწიფოს დახმარებაზე, მარა საქმით ყოველივე ზღაპარი გამოდგა და ოთხთა შეთანხმების დიპლომატია და პოლიტიკა ბაღკანეთზე საქვეყნოთ დამარცხდა...

რა იყო ამის მიზეზი?

ამდ. იდი დამარცხების უპირველესი მიზე-

ზი კლასიკური სტამბოლის და სრუტეების დაპყრობის საკითხია, ე. ი., იგივე ახლო აღმოსავლეთის დიდი საკითხი.

იმავე დროს, როცა ოსმალეთი გერმანიას მიემხრო და „გებენმა“ ელვის სისწრაფით აღდგის ნავთსადგურში შესტურა და იქიდან ალაშქარს ქალაქს ყუმბარები დაუშინა, რუსეთის პრესამ, მიმართულების განურჩევლათ, ხმა შეწყობილათ ასტეხა დიდი განგაში, რომ ოსმალეთი უნდა საბოლოოდ დაიგლიჯოს და გაინაწილონ რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა. დიდი სტამბოლი და სრუტეებიც, რათქმაუნდა, რუსეთს დაჩრება, რათგან სწორეთ ახლაა ჩვენი დრო, როცა დიდი ბრიტანეთი, რომელიც ამდენ ხანს სულ მუდამ ჩვენ გვეწინააღმდეგებოდა ამ ჩვენთვის დიდათ დიდი საქმის გახორციელებაში, ეღეს სრულიათ ჩვენი და ჩვენი გაძლიერებისთვის, წარმატებისთვის ომობსო. ამნაირათ, რუსეთის დიდი ხნის, პეტრე დიდის მეფობის დროიდან გამოცხადებულ სურვილებს და რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ უმთავრეს, უპირატეს მოთხოვნილებას გახორციელება ეღირსება და ამიერიდან რუსეთი, ეს აზიური სახელმწიფო შეიქნება წმინდა ევროპული უდიდესი სახელმწიფო, და ხელათ ჩვენი ცხოვრება ყოველიფრათ წინ წაიწევს და გაზედნიერდებითო...

ეს იდეა, მართლაც, სასწაულთ-მომქმედი, ძალიან ცოცხალი იდეა იყო. მან მთელი რუსეთი ფეხზე დააყენა, ყველა მიმართულების რუსს გულში სიცოცხლის დიდი იმედები ჩაუნერგა, ძლიერი აღმაფრენის ფრთა შეასხა და გერმანეთ-ავსტრი-უნგარეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ დიდის აფრთოვანებით დაიწყო, ასე წოდებული, სამამულიშვილო ომი...

მაღე რუსეთის ძლიევამოსილი არმიები გალიციაში შეიჭრენ და შარშან ამ დროს კარპატის მთებიდან ლაშაზი ვენის ალაყაფის კარებს ღურბინდებით ეშმაკურათ თვალიერებაც დაუწყეს... ამასთანვე რუსეთის შავიზღვის ფლოტი ბოსფორის ლურჯათ მოკამკამე ნაპირებსაც მიადგა და რუსებს სტამბოლის დღეები დათვლილი ეგონათ ამ დიდ სანეტარო იმე-

დებით იყო მოცული მთელი რუსეთი, მით უფრო, რომ გადაწყვეტით გაიძახოდნენ ინგლის-საფრანგეთში, ერთი თვის განმავლობაში მოვრჩებით დარდანელის სრულიათ გათავისუფლებას და ხელში ჩაგდებასო.

დარდანელის ბლოკადა, რომელიც დაიწყო ინგლის-საფრანგეთის შეერთებულმა ფლოტმა, რა თქმა უნდა, რუსეთის დასახმარებლათაც იყო გამოწვეული, რომ ამით საღვათი მიცემოდა რუსეთს და ადვილათ დაეგლიჯა ოსმალეთიც და ავსტრო—უნგარეთიც...

რუსეთის პრესას, რომ დასტური მისცა ინგლის—საფრანგეთის პოლიტიკურმა პრესამ სრუტეების რუსეთის სასარგებლოთ გადაწყვეტაში, აი, სწორეთ ამ გარემოებამ სულ ერთიანა ჩამოაშორა ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებს ბულღარეთი, საბერძნეთი და რუმინეთიც.

მოგვხსენებათ, რუმინეთს ერთად ერთი გზა აქვს შავი ზღვით და სრუტეებით, რომ გაიტანოს, ან შამოიტანოს საქონელი. ასე, რომ მისთვის ნამდვილ სიკვდილ—სიცოცხლის საქმეს წარმოადგენს, თუ ვის ხელში იქნება კლიტეები შავი ზღვისა და სრუტეებისა, ე. ი. ვინ იქნება ბატონ-პატრონი ახლო აღმოსავლეთის საქვეყნო საქმეებისა.

ბულღარეთი, რომელიც ერთ დროს, სახელდობ, თავის დიდი ხელმწიფის, სიმეონ მეორის დროს კიდევ ფლობდა კონსტანტინეპოლს (სტამბოლს) ვერ მოითმენს, რომ რუსეთის ბაიარალი აფრიადდეს ძველი აია—სოფის ტაძრის ნანგრევებზე. და საბერძნეთი ხო, დიდი ხანია, პირდაპირ ოსმალეთის მემკვიდრეთ ითვლება.

აი, სწორეთ ამ დიდმა ისტორიულმა, ახლო აღმოსავლეთის საკითხმა, სტამბოლის და სრუტეების რუსთა ხელში გადასვლის საქვეყნოთ გამოცხადებამ, უმთავრესათ მოგახსენებთ, აშალ—დაშალა ბაღკანეთის სახელმწიფოები ბულღარეთი, საბერძნეთი და რუმინეთი, რომელიც ცენტრალურ სახელმწიფოებისკენ იმ წამსვე გადარეკა და გერმანიის ჯარებს შეერთებული ბულღარები შეეცინ

სერბეთს და სულ ერთიანა განადგურეს იგი. ახლა საბოლოოთ ანადგურებენ ჩერნოგორიასაც. სერბებს და ჩერგორელებს ვეღარ უშველა, ვერც ინგლის—საფრანგეთის არმიებმა, ვერც იტალია—რუსეთის ჯარებმა... სწორეთ ისე, როგორც ბელგიას ვერ უშველა ვერაფერმა...

და დღეს, როგორც იწერებიან, ძლევამოსილი მაკენზენი თვისი მხედრობით უკვე სტამბოლშია.

იქ, ოსმალეთის ხვანთქრის, მამად V სატახტო ქალაქში მალე მიბძანდება გერმანიის დიდი ბძანებელი, ვილგელმ II.

მაშასადამე, ამ წამს მთელი ახლო აღმოსავლეთის დიდი საკითხი, ან სტამბოლის და სრუტეების საკითხი, უკვე გადაწყვეტილია...

ახლა ვილგელმ II გადასაწყვეტი აქვს სტამბოლში ბედი სუეცის არხისა და თლად ეგვიპტის საკითხი და აგრეთვე მას უნდა ასტებოს დიდი ქარ—ცეცხლი სპარსეთშიაც.

ამ რიგათ, უძლიერესმა გერმანიამ ერთი ძლიერი დაკვირთ სულ ერთიანა გამოაშკარავა ამ ცოტა ხანში ბედი ბალკანეთისა და თლად ახლო აღმოსავლეთის გადაწყვეტით რუსეთსაც ჩამოაშორა დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.

ამ გარემოებას დღეს აღარც ფარავს ინგლისის გავლენიანი ორგანო „ტიმისი“ და მისი სამხედრო მიმოხილველი—სპეციალისტი პირდაპირ წერს: „ჩვენი დამარცხების მიზეზი ჩვენვე ვართ.....“

ეს ფაქტია, რომ შეთანხმების სახელმწიფოებმა ვერ შექნეს, ასეწოდებული, სტრატეგიული რეზერვები, რომლების დანიშნულება ექნებოდა მტრისთვის საშვალეება არ მიეცა სერბეთში შეჭრილიყო. როცა მტერი კონსტანტინეპოლში შევა, იგი სამ მიზანს დაისახავს: გაილაშქრებს კავკასიისკენ, შვა აზიისა, ან ეგვიპტისკენ. ასეთი აზრები ამას წინათ უნგარეთის სახელოვანმა პოლიტიკურმა მოღვაწემაც გამოთქვა: გერმანელები და ავსტრიელები, სერბეთის საბოლოოთ განადგურების შემ

დევ, სტამბოლისკენ გზას გახსნიან და ხმელეთით გაილაშქრებენ სუეცისა და ეგვიპტისკენ, რომ შიგ გულში დაკრას ლახვარი თავის უმთავრეს მტერს—ინგლისს“.

პირველი განზრახულება, ე. ი., სერბეთის განადგურება და ბალკანეთის საკითხი გერმანელებმა უკვე გადაწყვიტეს. მეორე განზრახულებაც, ე. ი. სტამბოლის და სრუტეების ე. ი., მთელი ახლო აღმოსავლეთის დიდი საქმეც გერმანელებმა თავის სასარგებლოთ გადასწყვიტეს. და თვით ვილგელმს დღეს დიდიამბით ელოდებიან სტამბოლსა.

ამ ჟამათ დიდი ბრიტანეთი და რუსეთი სპარსეთის მიწა-წყალზე უკავშირდებიან ერთმანეთს. გერმანეთის მიზანია ახლა აქაც გათიშოს ეს ორი უძლიერესი სახელმწიფო ერთმანეთს. თუ ეს დიდი მიზანი ამ ზამთარში გაახორციელა მან, გერმანეთი გაზაფხულზე ორივე დასახელებულ სახელმწიფოს სასიკვდილო კრილობას უმზადებს.

ახლაც ომის

უპირველესი ინტერესი სამხრეთ რუსეთისკენ არი რუმინეთის გადასაბირებლათ...

ამ ზამთარშიაც დიდი ამბებია მოსალოდნელი

და

აზიისკენ სპარსეთით და ავღანისტანით თავაშვებული შეიჭრეს ძველის-ძველს, კლასიკურს უმდიდრეს ინდოეთში. ნუ დაივიწყებთ, ვილგელმა რომ წარმოთქვა: ახლანდელი ომი ხმელეთის ომიანო, და ორი სიტყვით ბევრი რომ უთხრა დიდ ბრიტანეთს...

მაინც ვნახოთ, მომავალი რას იტყვის. ვინც გადარჩება ამ ზამთარს, იგი გაზაფხულზე მოესწრება ისეთს ამბებსაც, რომლის მოწმე ჯერ ისტორია ირ ყოფილა...

და, ვიდრე ეს მოხდებოდეს, ჩვენ, როგორც ქრონიკორს, ვალდებულება გვაწევს მოკლეთ სპარსეთის ამბებიც გავუთვალისწინოთ მკითხველს.

სპარსეთი ისეთი ქვეყანაა, სადაც არც რკინის გზებია, არც ფაბრიკები და ზავოდები, არც ფულის, კაპიტალის ტრიალია იქ დიდი და სახალხო განათლებაც ხომ ძალიან, ძალიან დაქვეითებულია.

ამ სახელმწიფოს სრულებით არ გააჩნდა თანამედროე არმია, თუ არ ჩავთვლით რუსთა კაზაკების ბრილდას, რომელიც შაჰის მაჰომედალის (ახლანდელი შაჰის მამა) სასახლეს დარაჯობდა, და არც ბიუროკრატია გააჩნდა, გარდა რამდენიმე ბელგიელტამოუნის მოხელეებისა. სახელმწიფოს მართველ წრეების სისუსტით და არმიის უქონლობით აიხსნება, რომ იქ რევოლუციამ გაიმარჯვა, მაჰომედალი ტახტიდან ჩამოაგდეს და სრული პარლამენტარული მართვა გამგეობა დაარსეს

დიდი სიღარიბე სპარსეთის ხალხისა და ის საშინელი ხელის შეშლა, რომელიც ორმა დაინტერესებულმა დიდმა სახელმწიფომ—დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთმა მიაცენა სპარსელებს, არ აძლევდა გასაქანებელ გზას, რომ ფინანსიური გაჭირვებიდან გამოსულიყო სპარსეთი, რკინის გზები გაეყვანა, არმიისა და ბიუროკრატის რეორგანიზაცია მოეხდინა. ამნაირათ, ეს მრავალნაირათ დატანჯული ქვეყანა, რომელიც უწინ აზიის ქვეყნების ლიტერატურას და პოეზიას მხურვალე მზის სხივებით ათბობდა და ანათებდა, დღეს საშინელს, აუტანელს გარემოებაშია ჩავარდნილი...

მოგეხსენებათ, 1907 წ. ინგლისმა და რუსეთმა სპარსეთი ორ ნაწილათ გაყო და მთელი მისი მიწა-წყალი თავიანთ პრაერციებათ გახადეს. სპარსეთის ჩრდილოეთი დაექვემდებარა რუსეთს და მისი სამხრეთი-ინგლისს.

ამ გარემოებამ საშინლათ ალესა სპარსელები რუსებისა და ინგლისელების წინააღმდეგ. სპარსელების აზრით, მთელი უბედურება სპარსეთისა ინგლისელების და რუსების ბრალია...

ამიტომაც, შარშან, როცა საერთაშორისო ომი ატყდა, სპარსელები გერმანელებსა და ოსმალებს მიემხრენ და მთელს სპარსეთში რუსებისა და ინგლისელების წინააღმდეგ საშინელი ქარ-ცეცხლი დატრიალდა. მთელი წლის

განმავლობაში გერმანიის ფული და სამხედრო იარაღი სულ ადვილათ შექონდათ სპარსეთში და დიდი ომისთვის ემზადებოდნენ...

ოთხ-შეთანხმების სახელმწიფოთა ლიბერალურ პრესას სრულებით არ ესმის სპარსელების ღრმა და დიადი უკმაყოფილების მიზეზები. დასახელებული სახელმწიფოთა ლიბერალური პრესა სპარსეთში ატეხილ დიდ ბძოლას დ გერმანიისკენ გადასვლას აწერს მხოლოდ და მარტო გერმანელ აგიტატორების პრაპაგანდას და მოქმედებას... მარა ეს პრესა ღრმით შემცდარია..

დიდი ბრიტანეთის და რუსეთის იმპერიის ლისტური ყურნალ-გაზეთობა ვერ ამჩნევს, რო სპარსელების საზოგადო სტრატეგიული მოძრაობა და აკტიური მოქმედება მკიდროთ დაკავშირებულია თვით ამავე სპარსეთის საზოგადო ეკონომიურ ცხოვრებასთან და მისი ნამდვილი და ქეშმარიტი პოლიტიკა ამ კავშირს ვერ გაეჭყევა... გერმანელ აგიტატორთა მოქმედებით, რაც უნდა თილისმა ეკიროთ იმათ ხელში, სპარსეთის ისტორია არც გაქედილა, არც გაიქედება... დღეინდელ სპარსელების მოქმედების მიზეზი ღრმით მარხია იქაურსავე საზოგადო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ესევე გარემოება არი მიზეზი იმისა რომ ახალგაზდა შაჰის მთავრობას მთელი სპარსეთის დემოკრატია ემუქრება დღეს, უკეთუ ინგლისის და რუსეთის წინააღმდეგ აკტიურ მოქმედებას არ დაიწყებ, მამაშენივით ტანტიდან ჩამოგავდებითო...

ასეა, თუ ისე, სპარსეთის ცხოვრების პატარა ნაეიც ისტორიამ დიდი გერმანიის ორთქლმავალ გემს აჰკიდა და ამიერიდან ამ საშინელს დიად გემს მიყავს იგი ამ წუთი სოფლის ქარტეხილში...

გულკეთილი.

მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში*)

ენქერი აბრეშუმისა, მის ლურჯ ნიადაგზე ხელოვნურათ ამოქარგულია ოქრო-ვეცხლით და ფერადი აბრეშუმის ძაფით შაცხოვარი, ტახტზე მჯდომარე და მის მარჯვნივ-ყოვლად წმ. ღვთის მშობელი, ხოლო მარცხნივ იოანე ნათლის მცემელი. ენქერის ოთხ კუთხეზე ამნაირივე ოქრო-ვეცხლის და ფერადი აბრეშუმის ძაფით ამოკერილია ანგელოზები. მათი პირისახე ცოცხლათ და ხელოვნურათ არი გამოყვანილი. ენქერი შემკულია 915 სხვა და სხვა ზომის მარგალიტით. ირგვლივ ენქერს აქვს ვერცხლით ნაკერი ოთხ კუთხის ხაზი, რომლის გაყოლებით ვეცხლითვე ამოკერილი წარწერაა ხუცური ასო მთავრული ასოებით.

№ 18. „ქ. ყ-ისა 40) შენ ყლთა ზედა მხედ-ლისა (მხედველისა) ხილულისა და უხილავისა ხელმწიფედ მპყრობელისა ღ-ისა მხ-ლოდ შობილო ძეო, თ-ა (თანა) შეერთებულო ცხოველ მყ სფლისა ს-ლისო მაცხოვრო... 41) თ-ვ-ლთ შეუღგამო, ჩ-ნ ცვა ფარვათა შენთა მნდბ-ლმან (მონდობილმან) მს-ვ-მან (მმოსავმან) სწირა (სიწმიდისა) შენისამან დფ-ლთ დ-ფლი როდამ“ 42).

როდამის სახელით ჩვენ ვიცით ორი დედოფალი. ერთი-ყაფლან ორბელიანი—ბარათაშვილის ასული 43), იყო მეუღლე ქართლის მეფის ვახტანგ მეხუთისა (შაჰნავაზ I). ვახტანგი როსტომის შემდეგ, სპარსეთის შაჰისგან დამტკიცებულ იქნა ქართლის მეფეთ იმ პირობით, რომ შეერთო ცოლათ როსტო-

*) „იხ. „ცხოვრება, № 2—3.

40) ორ-ორი წერტილი თითოეულ სიტყვის შემდგ.

41) აქ ერთი სიტყვა არ იკითხება.

42) უკანასკნელი სამი სიტყვა ამოკერილია მაცხოვრის ფეხებთან, არშის შიგნით.

43) ქრონ. II, 5 11 и 528.

მის ქვრივი მარიამი, დადიანის ასული 44), მიუხედავად იმისა, რომ მისი კანონიერი მეუღლე, როდამი ცოცხალი იყო. ვახტანგი (1658—1676) იძულებული გახდა გაყოფა როდამს და შეერთო მარიამი. როდამისგან ვახტანგს ყავდა ექვსი ვაჟიშვილი: არჩილი (იმერეთის მეფე), გიორგი (ქართლის მეფე მამის შემდეგ), ლევანი, ალექსანდრე, ლუარსაბი (იხ. წარწერა № 16) და სოლომანი და ორი ქალი: ანუკა და თამარი 45). ქრისტიანული გაყრის შემდეგ, როდამი შედგა მონაზვნათ ეკატერინეს სახელით და მიიცვალა 1678 წელს 46).

მეორე როდამი—ქართლის მეფის-გიორგი XI (შაჰნავაზ II) 47) ასული—იყო მეუღლე იმერეთის მეფის-გიორგი VI, რომელიც მეფობდა 1707—1711, 1713 და 1714—1716 წლებში 48), 1688 წელს ქართლის მეფე, გიორგი XI იძულებული გახდა დაეთმო ტახტი კახეთის მეფე ირაკლი ნაზარალი ხანისთვის (1688-1703), რომელსაც, როგორც გამამადიანებულს, მხარს აძლევდა სპარსეთი. მეფე გიორგი ცდილობდა ქართლის სამეფო ტახტი ისევ დაებრუნებია და ამ მიზნის მისაღწევად მუდამ თავს ესხმო-

და ირაკლის და არ აძლევდა მოსვენებას. რათ განც ხალხიც მოწადინებული იყო ხელახლათ გამეფებულიყო გიორგი, ირაკლის მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. ამის გამო, იგი იძულებული გახდა დაენებებია თავი ქართლისთვის და 1691 წელს კიდევაც დაუთმო იგი გიორგის. 1796 წელს გიორგი დაიბარა შაჰ სულეიმანმა (1674—1722) სპარსეთში, საიდანც ის სამშობლოში არ დაბრუნებულა, რათგან მის კეისრისგან ვერაგულათ მოკლულ იქნა ყანდარში 49).

გიორგი XI-მ პირველი ცოლი, თამარის სიკვდილის შემდეგ, 1687 წელს შეირთო თავადი გიორგი მიქელაძის ასული ხვარაშანი 50). რომლისგანაც მიეცა მის ასული როდამი 51). ხვარაშანი მიიცვალა 1695 წელს და, ამის გამო, სპარსეთში გამგზავრების დროს მეფე გიორგიმ როდამი ჩააბარა გიორგი მიქელაძის მზრუნველობას. ამ უკანასკნელმა კი როდამი მიათხოვა იმერეთის მეფე გიორგი VI ს 52).

გიორგი მეფე გაეყარა როდამს და შეირთო ქვრივი მამია გურიელისა, ერისთავი შოშიტას და 53). როდამი გადასახლდა ქართლში. მას გამოექომაგა ქართლის მეფე იესე და მოთხოვა გიორგის შერიგებოდა თავის კანონიერ მეუღლეს. გიორგი დათანხმდა მხოლოდ იმ პირობით, რომ იესეს დაებრუნებია ჩხარის ჯვარი 54), რომელიც ამ დროს ინახებოდა ატრაცში. იესე მეფემ შეუსრულა გიორგის სურვილი. როდამთან ერთად დაუბრუნა ჩხარის ჯვარიც, მარა გიორგი მაინც არ შეუბრუნა როდამს, არ ინდობა მასთან

44) ქარ. სხ. II, 50, მარიამი მიიცვალა 1682 წ. (ქრონ. II, 496.

45) ქარ. სხ. II, 50-51 და 318.

46) ქრონ. II, 528. სხვა ცნობებით, როდამი მიიცვალა თფილისში 1691 წ. 17 თბათვეს სქემით შემოსილი და დასაფლავებული იქნა რუისის ტაძარში (ibid. 511).

47) გიორგი XI მეფობდა პირველათ 1675 და 1688 წლებში, ხოლო მეორეთ გამეფდა 169 წელს და იმეფა 1695 წლამდე.

48) არეულობის და ტახტის მძიებელთა გამარჯვების გამო გიორგის შეხვდა რამდენჯერმე ასლვა და ჩამოსვლა ტახტიდან.

49) ქარ. ტხოვრება II, 56-60. 62-69, 252, 311-325.

50) ibid. 250 და 309.

51) ibid 65 და 251.

52) ibid 220—221.

53) ბროსე. ისტ. საქართველოსი ნაწ. II, 224.

54) ჩხარის ჯვარზე, გეოგრაფია ვახუშტისა გამ. ბროსესი გვ. 362 და კალმასობა გამოცემა კიკინაძის გვ. 104.

ცხოვრება და ვაჟიშვილიანა 55) გაგზავნა იგი საცხოვრებლათ სვანეთში, სადაც სხვა გაქირება — უბედურობასთან ერთად როდამმა განიცადა თავდასხმა და გაცარცვა ბეჟან და ზურაბ აბაშიძეებისგან 56). ჩემის აზრით, ეს უკანასკნელი როდამი არი ნაგულისხმევი ენქერის წარწერაში. 57).

14) გარდამოხსნა ოქრო-ვეცხლით და ფერადი აბრეშუმის ძაფით ნაკერი 87×62 სანტიმეტრი. ირგვლივ აქვს ასომთავრული წარწერა, რომელშიაც მოხსენებული არიან: გიორგი აბაშიძე, ცოლი მისი გულქან ლორთქიფანიძის ასული და ძენი მათნი: ლევანი, ბეჟანი და მალაქია. წარწერის თარიღია 1715 წელი და ქორონიკონი გვ. (403), რომელიც აგრეთვე უდრის 1715 წელს.

№ 19. „ჩვენ. 58) ცოდვილმან და ყოველთა მამათა უნარჩევსმან აბაშიძე გიორგიმ და მეულღემან ჩემმან ლორთქიფანიძის ასულან გულქან შევაკერვინეთ გარდამოხსნა ესესულისა ჩვენისა სახსრად, ცოდვათა ჩვენთა

55) ალექსანდრეთი (ქარ. ცხ. V, 228)

56) ქარ. ცხ. II, 226—227.

57) მართალია, ჩვენ ვიცით კიდევ ორი როდამი, ერთი გიორგი გურიელის ასული, რომელიც 1571 წელს მიიხიდა სამცხის ათაბაგ ქაიხოსრო მეორის შვილს შვე ქაბუკს (ქ. ცხ. II, 163) დამეორე—ასული „მეფეთ მეფისა“ (არ ვიცი, რომლისა) და ცოლი გურიელი—მამია IV—სა. ეს უკანასკნელი როდამი იხსენიება 1760 და 1762 წლების გუჯარებში (ბიჭვინტის გუჯარი—იხ. დ. ფურცელაძე. Церковные гуд жары გვ. 149—და ჯუმათისა-იხ. დ. ბაქრაძე Археолог путешествие по Гурии и Адчаръ გვ. 299 და 337). მარა, ის გარემოება, რომ ენქერის როდამი მოხსენებულია „დედოფალთა დედოფლის“ სასულწოდებით, გვაფიქრებებს, რომ წარწერაში ნაგულისხმევა მეულღე იმერეთის მეფის გიორგი XI-სა,

58) თითოულ სიტყვის შემდეგ, უხის სამ-სამი წერტილი.

შესანდობელად, ძისა 59) ჩვენისა ლევანის, ბეჟანის და მალაქიას აღსაზრდელათ და წარსამართებლად. ქრისტეს აქეთ ათას შვიდას თხუთმეტსა. ქ-კ-სა უგ;“

გიორგი აბაშიძე ცნობილია დასავლეთ საქართველოს ისტორიაში. მას ერთ დროს დიდი გავლენა ქონია იმერეთში: იმდენათ გაძლიერდა, რომ მას, არა თუ თავის სურვილისამებ აყავდა და ჩამოყავდა მეფეები იმერეთის ტახტზე, არამედ ბოლოს თითონაც გამეფდა. გიორგი აბაშიძე პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ, აღიკვეთა ბერათ მალაქიას სახელით, მიიღწია ეპისკოპოსის ხარისხამდი და იყო შემოქმედელათ 60). მარა ბერობაში დიდხანს არ დარჩენილა. როდესაც მისი ძმა პაატა აბაშიძე გარდაიცვალა, როკითის ომში მიღებულ ქრილობით, დატოვა ბერობა და შემოქმედის საღვდელ მთავრო კათედრა და დაუბრუნდა ერის კაცობას გიორგის სახელით. ის შეიქნა აბაშიძეების გვარის უფროსათ. შეერთო ქერივი კაცია ჩიქოვანისა და გიორგი გურიელისა, „მდიდარ ფრიად“ 61) და ამით დიდი სიმდიდრე და გავლენა შეიძინა. ამას ხელი შეუწყო მეფე-მთავრებთან დამოყვრებასაც. თვისი ქალი ელენე, რომელიც პირველი ცოლთან ეყოლა, მიათხოვა გიორგი გურიელის შვილს ქაიხოსრო მეორეს, რომელმაც 1685 წელს, მალაქიას გადაყენების შემდეგ, პაატა აბაშიძის შემწეობით დაიქორა გურია. 1690 წელს 62), ქაიხოსროს სიკვდილის შემდეგ, გაგურიელდა ძმა მისი მამია III, რომელმაც შეერთო ზემოხსენებული ელენე 63), მეორე ქალი-თამარი, გიორგიმ 1691 წელს მიათხოვა იმერეთის მე-

59) ნამდვილშიაც მხოლოდითი რიცხვია.

60) ბაქრაძე და კონდაკოვი. Описание памятников древности въ некоторыхъ храмахъ и монастыряхъ Грузии გვ. 147.

61) ქარ. ცხ. II, 210

62) Друс. Вѣст. Груз. Экзархата 1903 წ. №7-8, გვ. 31.

63) ქარ. ცხ. II, 211; ბროსე. საქ. ისტორია II, 209 და ბაქრაძე, Археолог. путешествие по Грузии и Адчаръ გვ. 293, 294, 295. და 336.

ფე ალექსანდრეს⁶⁴), ამით გიორგი აბაშიძის გავლენა იმერეთში კიდევ უფრო გამტკიცდა.

ალექსანდრე მეფის სიკვდილის შემდეგ თამარი ცდილობს გაყვეს ცოლათ ქართლის მეფე გიორგი XI (შაჰნავაზ II), რომელსაც გიორგი აბაშიძე პირდება იმერეთის სამეფო ტახტს. მარა გიორგი-მეორე არა თანხმდება თვისა ძმის არჩილის ხათრით, რათგანც იმერეთის სამეფო ტახტი მას ეკუთნოდან⁶⁵.

ამის შემდეგ, საშვეგრელოში თავს იჩენს ვილაც გიორგი, რომელიც ვითომ მეფეთა ჩამომავლობის იყო, მას თამარი გაყვება ცოლათ და 1691 წელს გამოაცხადებს იმერეთის მეფეთ. მარა ის მხოლოდ სახელით არი მეფე, სამეფოს—კი განაგებენ თამარი და განსაკუთრებით, გიორგი აბაშიძე, რომელსაც ემორჩილებიან ყველა იმერეთის დიდებულნი, სხვათა შორის, დადიანი და გურიელიც. მალე თამარმა შეიძულა თვისი ქმარი და გააგდო. ამის შემდეგ, გიორგი აბაშიძემ თამარი შეაძლია მეფე არჩილ⁶⁶ და დაპირდა მას სამეფო ტახტის სამუდამოთ დაბრუნებას. მარა არჩილი არ დათანხმდა.

1699 წელს გიორგი აბაშიძემ გაამეფა ალექსანდრე მეფის მე სვიმონი (1699-1701), რათგანც მას მიათხოვა თვისი ქალი ანიკა, რომელიც ცოლათ ყავდნასყიდა იაშვილს⁶⁷), თამარი—კი გაყვა ცოლათ გიორგი ლიპარტიანს. (ჩიქოვანი) თუმცა ამ ქორწინებას იმერეთის ქათალიკოზი ეწინააღმდეგებოდა, რათ-

გან თამარი ლიპარტიანისგან მირონცხებული იყო იყო.

სვიმონ მეფე გაეყარა ანიკას და შეერთო გურიელის ასული, რაც ძვირათ დაუჯდა მასის მოკლულ იქნა 1701 წელს. მის მაგიერათ აბაშიძემ გაამეფა მამია III გურიელი, თუმცა მასაც დიდხანს არ უმეფნია. მას არ ქონდა იმერეთში გავლენა და შემოსავალი „ვინაიუგან სამეფონი დაბანი, აგარანი და შემოსავალნი წარჩინებულთა ეპყრა აბაშიძეს და ასულსა მისსა თამარს, და მოახლედ მათდა იყვნენ წარჩინებულთა და აზნაურთა ძენი დათვით! იგინიცა. ამისთვის წარვიდა გურიელი გურიასავე“⁶⁸).

ამის შემდეგ, გიორგი აბაშიძე თვით განაგებდა იმერეთის სამეფოს. მისი მეფობა შესაიიშნავია იმით, რო მან დაამშვიდა იმერეთი „ხდომა-ობრებათაგან ფრიად, რამეთუ ვერვინ იკადრებდა პარვად რიმამედ, კვალად ვერცადა ვინ იკადრებდა გაყიდვად ტყვისა, თვინაერ მისსა“⁶⁹).

1717 წელს ერთი გიორგი აბაშიძის ასულთაგანი მარიამი შეერთო ვახტანგ VI—ს ძემ ისტორიკოსი ვახუშტიმ⁷⁰). ერთიც მისი ქალი, რომლის სახელი არ ვიცით, ყავდა ცოლათ მეფე გიორგი VI-ს⁷¹). თუმცა ამნარი კავშირი დიდ ძალა და გავლენას აღლევდა მას, მარა, მიუხედავად ამისა, მას დიდ ხანს არ უმეფნია, ხუთი წლის მეფობის შემდეგ, იძულებული გახდა მიეტოვებია სამეფო გაქცეულიყო ვახტანგ VI სთან ტფილისში, სადაც მიიცვალა 1722 წელს და დაიმარ-

64) ქ. ცხ. 215 II. და 251.

65) ibid. 216.

66) ibid. 251

67) ბროსეს აზრით, ანიკა იყო მხოლოდ დანიშნული იაშვილისგან და არა ჯვარ დაწერილი (საქ. ისტ. 11. 215). ქარ. ცხოვრების სიტყვები: „წაგვარანასყიდა იაშვილს ცოლად მიფხოვილი ასული თვისი ანიკა“ (ქ. ც. 11, 217) შესაძლებელია, ამნარათაც გავიგოთ.

68) ქ. ცხ. II, 218.

69) ibid. 221

70) ბაქრაძე და კონდაკოვი. Описание помятниковъ... გვ. 148; ჯანაშვილი—იბ. წინმსიტყვაობა ვახუშტის გეოგრაფიისა (გამომ. შურ. „მოგზაურისა“) გვ. ა და Перениска груз. царей съ Російскими Спб. 1861 წ. გვ. XXV.

71) ბაქრაძე. Описание помятниковъ... გვ. 148.

ბა კაცხის მონასტერში 72). გიორგი აბაშიძე ცნობილია, როგორც აღმადგენელი მამათ მთავარი აბრაამის მონასტრისა იერუსალიმში 73). თფილისის საეკლესიო მუზეუმში დაცულია გელათის გულანი, გადაწერილი გენათელ მთავარ ეპისკოპოზი ზაქარიას ბძანებით, რომელიც გიორგი აბაშიძეს 1705 წელს შეუწირავს დავით გარეჯის უდაბნოსთვის 74). წარწერაში მოხსენებული გულქანი, — ბეჟან ლორთქიფანიძის ასული, პაპუნა ერისთავის ქვრივი და დედა შოშიტასი, იყო მესამე ცოლი გიორგი აბაშიძისა. 75). როგორც ჩანს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებიდან. ამ აბაშიძის პირველი ცოლის სახელი იყო მარტე; ხოლო მეორესი, რომელიც იყო ნაცოლარი კაცია ჩიქოვანისა დაგიორგი გურიელისა, — თამარი 76). ამ აღაპებშივე მოხსენებული არიან ძენი მისნი: პატა და მალაქია და ასულნი: მარია, თამარი, ელენე, ანივა და თინათინ 77)

15). სამონასტრო ეკლესიის ახლო არი პატარა ქვის სამრეკლო, რომელზედაც ჩვენს ყურათღებას იქცევს ერთი წყვილი პატარა ზარებისა, შეწირული ქართლ-კახეთის მეფის ირაკლის მიერ. ორივეს აქვს მხედრული წარწერანი, რომელთაგან ჩანს, რომ ზარები ჩამოუხსნამთ ქალაქ თფილისში.

№ 20. „ქ. ჩვენ მეფემან სრულიათ საქართველოსამან ირაკლი მეორემ ჩამოვასხმევი-

72) ქარ. ცხ. II, 230 და 254. ბაქრაძე გიორგი. აბაშიძის სიკვდილს მიაწერს 1720 წელს (Опис пом. 148). გიორგი აბაშიძის ცხვენებაზე უფრო დაწვეულებით იხ. „მთაბე“ 1901 წ. № IV, გვ. 36—60.

73) მოხილვა წმიდათა და სხუთა აღმოსავლეთისა ადილთა ტიმოთესგან, ქართლის მთავარ ეპისკოპოზისა ზე. 15; პლ იოსელიანი. Родъ князей Чолакскихъ გვ. 24 და ცაკარელი: „Памятники Гола. старини въ Св. землѣ Палест. Сбѣрникъ ტ. IV, გვ. 122

74) შორდანიа Опис. рукописей Тиф. и музѣя 1, 194-190.

75) ქარ. ცხ. II, 217.

76) აღაპნი ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა გამოს. პრ. მირისა გვ. 28.

77) ibidem.

ნეთ ერთი წყვილი ზარი ესე ქელიშის ღთის მშობლის მონასტრისთვის, ვინც ამ მონასტერს გამოართვას ღთის მშობლისაგან გზღვიოს მერმესა მას საუკუნესა“,

№ 21. „ქ. ჩვენ მეფემან სრულად საქართველოსამან ირაკლიმ მეორემ ჩამოვასხმევი-ნეთ ერთი წყვილი ზარი ქელიშის ღთის მშობლის მონასტრისათვის, ვინც ამ მონასტერს გამოართვას ღთის მშობლისაგან გზღვიოს მერმესა მას საუკუნესა. აპრილს ქვს უბგ.“

ქელიშის უდაბნოს არქივში შენახულია ღვდელ მონაზონ გრიგოლის ხელით დაწერილი ნუსხა, რომელშიაც ჩამოთვლილია ამ ღვდელ მონაზონის შრომანი და ღვაწლნი მონასტრის საკეთილდღეოთ ამ ნუსხიდან ჩანს, რომ ეს ზარები შეუწირავს მეფე ირაკლის ღვდელმონაზონ გრიგოლის თხოვნით. გრიგოლი გვარათ ყოფილა დაჩიბერიძე. მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედში ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა და თავის სიკოცხლის უკანასკნელ ხანებში ღვდელ მონაზონის ხარისხით ქელიშის მონასტერში წინამძღვრის თანამდებობაც უსრულებია 78). მის წმიდა წხოვ-

78) История Груз. епархіи по 1-ое янв. 1825 г. გვ. 52 (მოსკოვი 1853წ.)

რებაზე და შრომის მოყვარობაზე უდაბნოს ძმათა შორის ახლაც არი დარჩენილი ხსოვნა. ორი უზარმაზარი ასწლოვანი ნიგვზის ხე სა, მონასტრს გალავნის ახლო, ადგილობრივ ბერების სიტყვით, წარმოადგენს უტყუარ ძეგლს მისი შრომის მოყვარობისას.

ქორონიკონი უბგ. უდრის 1795 წელს და, მასასადამე, ზარები ჩამოსხმულია ხუთიოდე თვით ადრე თფილისის უბედურ დღეებისა, მისი ალა მამადხანისგან აოხრებისა.

სხვა ძველ სამონასტრო ქონებათაგან შეგვიძლია აღვნიშნოთ ერთი წყვილი ვეცხლის ძაფით მოქარგული აბრეშუმის სამაჯურებისა. მათზე, თუმცა ყოფილა წარწერები, ვერცხლის

ძაფით ამოკერილი, მარა ახლა არ იკითხება. სამაჯურები ჩემ მონასტერში ჩასვლამდე განუწყვეტლივ ხმარებაში ყოფილა და, ამის გამო, ნამეტნათ დაძველებულა.

არის მონასტერში ორი ძველი ოდიკი, რომელთაგან ერთი 1818 წ. ხელმოწერილია მიტროპოლიტი დავითისგან, ხოლო მეორე — კიპირველი ექსარხოსი ვარლამისგან.

პირველ ოდიკზე არის ამნაირი წარწერა:

№ 22. „მათის ყ-ღ უსამღვდელოესობის მიტროპოლიტის დავითის მიერ იკურახა ოდიკი, რომელიც ეკათონის წ-ის ი-ონე (იოანე) ნათლის მცემლის უდაბნოთ ეკლესიასა სხვას, წელსა ჩვიპ მათისს გ-სა ღღესა“

მიტროპოლიტი დავითი იყო დიდი ზურაბწერეთლის შვილი, ხოლო ვარლამი ქსნის ერისთავთა გვარიდან, სხვათა უდაბნოზე შემდეგ ვეკენება საუბარი.

ამბერი.

(შემდეგი იქნება.)

ჩვენი გადაგვარება და ეროვნული სახელების მოსპობა.

სამწუხაროთ, ყურნალ—გაზეთებში ხშირათ ვკითხულობთ, რომ ამან და ამა ქართველმა, რომლის გვარი დაბოლოვდებოდა „შვილი“ ან „ძე“ ან „ია“ თვისი უფროსის გულის მოსაგებათ და თვითი ადგილის მოსაპოვებლათ, საკუთარი გვარი გადააკეთა და გადაამახინჯა უცხოზე და, ნაკვლათ „შვილი“, „ძე“ და „ია“ დააბოლოვა „ოვ“ ზე, ან „ევ“ ზე. ან კიდევ ამა და ამ განათლებულმა ქართველმა თვისი აზრი თავის დედაენაზე ვერ გამოთქვა, უცხო ენაზე უფრო ემარჯვებო და სხვა...

ჩვენ გადაგვარების ისტორიაში ჩვენ თვით გამოვდივართ თავი მიზეზი და დამნაშავე. ხედვენ ჩვენი ხასიათის სისუსტეს, ხედვენ, რომ ჩვენ ენას ოვით ჩვენვე არ ვაფასებთ, ხედვენ, რომ ზოგიერთი მშობლები! — კი არ აქეზებენ თავიანთ შვილებს დედა ენის შესწავლაში,

პირიქით. ხელს უშლიან და მთავრობის მასწავლებლებსაც ეუბნებიან: „ჩვენ შვილებს ქართული ენის გაკვეთილებისთვის ნუ გავიცდენთო“, და ბოლოს, აღარ ეხერხებათ. ხედვენ, რომ გვარებს იცვლიან ზოგიერთი გარეწარი ქართველები, ამიტომაც, რაკი გვარის გამოცვლა ეადვილებათ, იფიქრეს, სახელების გამოცვლა, ან ეროვნული სახელების მოსპობა უფრო ადვილი არ იქნება?!... ამნაირათ, 1913 წლის პირველ იანვრიდან უმაღლესათ ებძანა ქართველ საღვდელოებას, რომ საიდუმლო ნათლისღების შესრულების დროს, ისეთი სახელები დაარქვით ბავშვებს, რომელ სახელებსაც ეკლესია ღღესასწაულობდესო...

ქართველი საღვდელოებაც ძალა უნებურათ დაემორჩილა ასეთ განკარგულებას. მარა, სამწუხაროა, რომ, ერთის მხრით, თითქმის ჩვენი ეროვნული და ისტორიული სახელები ამ განკარგულებით თლად ისპობიან და აღიგავებიან პირისაგან ქვეყანისა, მეორეს მხრით კი, ყოველი საიდუმლო ნათლისღების შესრულების დროს, ყოველ ქართულ ოჯახში უკმაყოფილება იზადება ღვდელსა და მრველ შორის, როდესაც, გამოცემული კანონის ძალით, მოძღვარი არჩევს და არქმევს ბავშვს ეკლესიის წმიდანის სახელს და მშობლებს — კი სურთ თავის შვილებს დაარქვან მამა-პაპური, ან თვისი ძვირფასი სამშობლოს ისტორიის, ან გმირების სახელები მარა ბოლოს, მაინც ასეთი უკმაყოფილება იმითი თავდება, რომ მოძღვარმა, მშობლების სურვილის წინააღმდეგ, თვისი ეკლესიური წმიდანის სახელი უნდა დაარქვას მოსან. თლავს და, ამნაირათ თლად მოისპო და ეკლესიურ საბუთებში ამიერიდან აღარ იწერებიან შემდეგი კაცის სახელები: „შოთა“, „აბესალომ“ „ვახუშტი“, „ხახუტა მიზარბეგი“, „შამა“, „შამშე“, „თორდანე“, „ქაიხოსრო“, „ბიჭია“, „დარისპანი“, „ალმასხანი“, „გლახუა“, „შაქარა“, „ჯავახი“, „ვახტანგი“, „ლევანი“, „გარსევანი“, „მურძაყან“, „როსტომ“, „პაპუნა“, „ქაქუჩი“, „ყარამან“, „პაატა“, „ბეთან“, „სახინო“, „მურმან“, „ამირანი“, „ფარსადან“, „ზურაბ“, „ასლან“.

„ფარნაოზ“¹, „გურამან“², „თეიმურაზ“³, „მამუჩარ“⁴, „კაცია“⁵, „ოტია“⁶, „ტარიელ“⁷, „ყაფლამ“⁸, „ოქროპირი“⁹, სპადიელი“¹⁰, „ქიბო“¹¹, „ვარდენ“¹², „ასპან“¹³, „როსაპი“¹⁴, „ზაალი“¹⁵, „ბარძიმი“¹⁶, „ბერლარ“¹⁷, „ხარება“¹⁸, „ხეთისია“¹⁹, „მალხაზ“²⁰, „აღდგომელა“²¹, „რევაზ“²², „ედისენი“²³, „ნარიმან“²⁴, „ოფონა“²⁵, „მარარა“²⁶, „გივი“²⁷, „წყალობა“²⁸, „საყვარელა“²⁹, „სარიდან“³⁰, „სარდიონ“³¹, „ფირანა“³², „თამაზა“³³, „მერამ“³⁴, „ანდუყაფარ“³⁵, „ნოშრევან“³⁶, „ხახუღი“³⁷, „ამიზანა“³⁸, „ვამეხი“³⁹, „გურგენი“⁴⁰, „მირიან“⁴¹, „ფრიდონ“⁴², „ამირიღონ“⁴³, „ოთარი“⁴⁴, „შარნაოზ“⁴⁵, „ბეკო“⁴⁶, „სიკო“⁴⁷, „აფრასიონ“⁴⁸, „გოჯასპირი“⁴⁹, „ხალკიდონი“⁵⁰, „ქიშვარდი“⁵¹, „იორამ“⁵², „შერმანდილ“⁵³, „უშანგი“⁵⁴, „ქრი-სტესა“⁵⁵. და სხვა.

ქალების სახელები:

„დარეჯმნი“¹, „მზეხათუნ“², „ხათუნი“³, „თინათინ“⁴, „კესარია“⁵, „ესაკია“⁶, „სალომე“⁷, „არუსუდან“⁸, „ადესპინე“⁹, „ეეკაიე“¹⁰, „სიღონია“¹¹, „დაფინა“¹², „ავულჩინი“¹³, „ავუნარა“¹⁴, „ამადანი“¹⁵, „ავიტიან“¹⁶, „ივდითი“¹⁷, „იბრუხტი“¹⁸, „რიმა“¹⁹, „აკეკელა“²⁰, „ასინეთი“²¹, „ასპიროზი“²², „ირინე“²³, „აბაბიღონა“²⁴, „ციცინო“²⁵, „ლეზონიკა“²⁶, „ალეასი“²⁷, „ლალო“²⁸, „სადიკო“²⁹, „ტრეზია“³⁰, „ეფენია“³¹, „ეესმა“³², „აბატო“³³, „ათნაირი“³⁴, „შენიერი“³⁵, „ზინოსია“³⁶, „მაკონა“³⁷, „ელიზა“³⁸, „არეთა“³⁹, „ავარდო“⁴⁰, „პირთყარისა“⁴¹, „ტურფა“⁴², „ზინოშია“⁴³, „ავარდოფინა“⁴⁴ და სხვა. ეს ზემო აღნიშნული სახელები და ასეთები სულ მოი-სპო. უმთავრეს ბრალს ამ სახელების მოსპო-ბაში ზოგიერთი წინ დაუხედავი მშობელ საღვდელთაში პოვებენ. მარა საღვდელთაში თვით წუხს, თვითაც ვერ შერიგებია ამ სახელების მოსპობას, თვით პირადათ გადა-ქვს ათასი უსიამოვნება და პირადი შეურაც-ყოფა. მარა ვერას გამხდარა.

ამ საქმისთვის საღვდელთაშთან ერთად, ხმა უნდა ამოიღოს თითოულმა ქართველმა და საერო უამდგომლობით ჩვენმა მოთავე კაცებმა უნდა გამოი თხოვონ, რო, თუ ყველა სახელები არა, ს^ა ქართველოს ისტორიის და ლიტერატურის გმი-

რების სახელების დარქმევის ნება მაინც მოგ-ვეცეს, რომელ სახელებსაც ისტორია და ლი-ტერატურა არ დაივიწყებს არაოდეს. ვინციო-ბაა, მართლა ოდესმე ჩვენი ივერიის ეკლესიას „ავტოკეფალია“ (დამოუკიდებლობა) მღირსოს, ნეტავი, ასეთი გადაკეთებული გვა-რები, მოსპობილი სახელები, შეღახული მამა — პაპური ზნე-ჩვეულება და ეროვნული სიმახი-ნჯე, რანაირათ შეესაბამება მომავალ „ავტო-კეფალიას“?...

ზოგიერთ გადაგვარებულ ქართველებს გავახსენოთ ლიდებული მამათმთავრის სულ მნა-თი მგონის, აკაკის ლექსის ერთი პატარა, მა-რა დიდ აზროვანი და შინაარსიანი ტაეპი:

„გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრუ-ლია“...

ბესარიონ ჭიათურელი.

მეცნიერების სხვერპლნი.

I

— ჩვენი ავათმყოფი, დაიწყო პროფესორ-მა, თქვენთვის დიდათ საინტერესო შემთხვე-ვას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევას ბევრს ვერ შეხვდებით თქვენ სტუდენტურ პრაქტიკაში და ამიტო, ვთხოვთ, დიდი ყურათღება მიაქ-ციოთ მას. მაშ, დავიწყოთ...

„ჩვენი ავათმყოფი“, შვა ხნის, ფერ-და-კარგული, გამხდარი კაცი, შავი კლიონკით გადაკრულ ტახტზე წვეს და ხან ერთ სტუ-დენტს მიაშტერებს თვის ჩაცვნილ თვალებს, ხან — მეორეს. იცის, თუ რას წარმოადგენს ეს მეტი ყურათღებით მოპყრობა, იცის რო ყველა აქ მყოფი ორჯელ, სამჯერ მაინც შეა-ხებს მის მტკივან ალაგს ხელს და ამით მას უარეს ტკივილს მიყენებს, იცის, მარა, რა ქნას? ეს ხომ იმათ არ ეკუთვნის, ვისაც შეუ-ძლია მკურნალი თავის თავთან მიიწვიოს და თავი გაასინჯვიოს. აქ-კი, თუმცა გაწვალდე-ბა, მარა უფასოთ მკურნალებენ.

— არაფერია, მეგობარო, მოითმინე... ჩამომავლობა მადლიერი დაგრჩება, რომ მთავალ მკურნალებს მასალა მიეცი და შენი წვალეებით შემდეგში მაინც რამდენიმე გადაარჩინე. მაშ, აეს კოჩალათ იყავ, ვიწყებთ...

შინჯავს პროფესორი. რიგი სტუდენტებზე მიდგა. მიდის ერთი, მიდის მეორე... მეათე... და ასე.

— ჩაისუნთქე, ასე. კიდევ... კიდევ... ამოისუნთქე ახლა. კარგი.

— ტაკ... ტაკ... ტაკ... ბიკ... ბიკ... ბაკ... ტიკ... გააქვს პატარა ჩაქუჩს ბიკინი მის გამხდარ გვერდებზე და მკერდზე.

— ეე, ამხანაგო, რას შერებები? აბა, სად შინჯავთ?

— მოიცაღეთ კიდევ გავსინჯავ...

და კვლავ

— ტიკ... ტიკ... ტიკ...

შენ-კი წუხარ, მეგობარო! აგერ, ოღლით დაგეფარა შუბლი. მარა, რას იზამ... ხუმრობა საქმე ხომ არ არი, მეცნიერების სხვერპლი ხარ.

— მეორე, მესამე, ... მეათე....

— ამოისუნთქე კიდევ...

— ტიკ... ტიკ... ტიკ...

— უნახეთ ტყლიპი... შეადარეთ იგი ამოსუნთქვის დროს... ასე. მიყევით ხელით, კიდევ, კიდევ...

მექანიკურათ ბძანებს პროფესორი.

— ვაი, მტკივა...

— არაფერია, ვინ არი კიდევ? მეორმოცე? ნახეთ.

გათავდა. საწყალობელმა ძლივს ამოისუნთქა თავისუფლათ. ადგა. უნდა წავიდეს.

ხო ნახეთ ყველამ? კითხულობს პროფესორი. მაშ, წადი...

— პროფესორო, მე არ მინახავს. შეიძლება? ისმის ვილაცას ხმა.

— როგორ არა. ნახეთ...

— კმარა, ამხანაგო, ცოდვია. ხო ხედავთ, დაიღალა. შენიშნავს მეორე.

— არაფერია, მოითმინს, მეცნიერების სხვერპლი, უპასუხებს პროფესორი.

მეცნიერების სხვერპლი! —

II

გძელს ვიწრო მაგიდაზე, რომელზედაც ლეში დევს, გარს რამდენიმე სტუდენტი შემოხვევია.

— ხხრ... უუუ... ისმის ნელი შრიალი და ახალგაზდა პრივატ-დოცენტი პატარა დანით ლეშის გამხდარ მკერდზე უსიცოკხლო კანს სერავს.

— გადაადრობთ კანს და ხორცის ზედა პირს გააცალკევებთ. ოთხი დამუშავებთ გვერდს და ოთხი მუცელს — გაბედული ხმით ამბობს იგი და, შემდეგ, მაგიდასთან მიდის, რომ იქაც სეროს და ქრას...

სტუდენტები ლეშს ეცემიან.

— ესეც ცხოვრობდა...

— ამხანაგო, უნახეთ კბილები, აბა, უკანასკნელათ რა უქამია?!..

— ახალ გაზდაა. —

— როგორ, თუ ახალ გაზდაა? განა იმიტომ არის ახალგაზდა, რომ წვერ ულაში და თმა აღარ აქვს? ეგ ხო გაცვენილია.

ნეტა, ვინ არი?

და ყოველ მათგანს ახალი საკითხი და შენიშვნა შეაქვს ამ უსულო საგნის შესახებ.

მართლაც და, ნეტავ, ვინ არი, საბრალო?! უკვე გახრწნილი, ღრმათ ჩაცვენილი თკალები, ამოწეული ლავიწები, დაღეული ცხვირი, ნახევრათ ღია პარი... აგერ, მარცხენა მკლავზე გული აქვს დახატული რომელშიაც გადატეხილი ისარი არი გარტობილი. ჩანს, ვიღაც ყვარებია. სიყვარულს მისი გული ისრით გაუხვრეტია. მარა ისიც კარგი ნიშანია, რომ ისარი გადატეხილია.

ვინა ხარ, საბრალო, ან, რა შევიძლია, რომ გვიამბო და მოგვცე მეცნიერების სასარგებლოთ?!

ვინ იცის, ეგებ, სულაც არ გინდოდა, რომ მეცნიერების გულისთვის შენი ლეში საჯიჯვანათ დაგეგდო. მარა ამას ხო შენ არ გკითხავდენ, შენდა უნებურათ დაგაკისრეს ასეთი საპატიო საქმე.

ის აღარაფერს აღარ იტყვის.

მხოლოდ ექტის პატარა ნაქერი, რომე-

ლიც მარჯვენა ფეხის ცერზე აქვს მიკრული, მოკლეთ ამბობს მის ვინაობას.

--52--

არავის არ უნდა მისი ვინაობა. მას აწი ყველა იცნობს. ის არის „52“ და ყველა თავის სწორებაში ამ სახელით გამოიჩინება.

—52—

აგერ, მის გამხმარ თავს, რომელიც აგრეთვე პაწაწინა დანით სხეულს მოაშორეს, უნდა ვლელათ, ხან მარჯვნივ გადააგორებენ, ხან მარცხნივ. ვინ იცის, რას ფიქრობდა ეს გამხდარი თავი და, რის ფიქრში ამოუვიდა უკანასკნელი სულის თქმა?!...

— მეცნიერების სხვერპლი!

--52--

III

ესეც მეცნიერების სხვერპლია.

ვინ იცის, საწყალობელი, სად არ დაწანწანალებდა მშვიერი, რამდენი ქუჩა და ეზო მას არ შემოუვლია. მარა მისთვის ყურათღება არ მიუქცევიათ. არავის არ შეუნიშნავს იგი, გარდა მეგობრებისა, რომელნიც მხოლოდ და მხოლოდ ცოცხის ტარით უმასპინძლებოდნენ მას...

იგი სხვა მოხეტიალე ძაღლებთან ერთად ქუჩაში დაიჭირეს და, თუ აქამდე მას ვერ ამჩნევდნენ, დღეს იგი ყველა აქ მყოფის ყურათღებას იქცევს.

იგი მთელ სიგძეზე არი მაგიდაზე გადაკრული. პირში აქვს რგოლი, რომელიც იქვე სვეტზეა მიკრული. ფართხალობს. უნდა თავი გაიშვას და ისევ საყვარელ ქუჩებს მიაშუროს, მარა ამაოთ.

გაუტყრეს ყრონტი, რომელშიაც მილი მისცეს.

წყმეის. ფართხალობს...

დრო გამოშვებით იგი შეჩერდება ხოლმე, თითქმის ყურს უგდებს პროფესორის სიტყვებს, რომელიც სტუდენტებს რალაცას უხსნის და ხშირათ მის ქრილობაზე უთითებს.

რა უნდათ მასთან! გაუშვან იგი. მარა მას ვერ ელევინან. იგი საჭიროა მეცნიერებისთვის. იგი ქარვაა, რომლითაც მათი მეცნიერების დაფი უნდა აივსოს.

ის—კი წკავის. არ უნდა მეცნიერება, არ უნდა სიკვდილი...

უტყვი სულიერი სხვერპლათ ეწირება, მეტყველ სულიერის კეთილ—დღეობას!..

IV

— ყყყყვა... ყყყყვაყყ...

ძლივს მოასწრო ყყყინამ, როდესაც პროფესორმა მას გვერდი გაუბო და იქიდან ჯერ ისევ ცოცხალს გული ამოქრა.

იგი გვერდზე მიადგეს და მისი დასერილი გულის შინჯვა დაიწყეს...

სულს ლევს... კვდება ძლივს ახელს უსიცოცხლო თვალებს და იქითკენ ამტერებს მათ, საითაც მისი სიცოცხლე წაიღეს.

-- ყყყ... --

ლუყლუყებს იგი უკანასკნელათ, თითქმის ამბობს:

— მე რაღა დაგიშავეთ, რას მერჩით?—

ის—კი არ იცის, დამნაშავე რო ყოფილიყო ასეთ საპატიო სიკვდილს ვერ მიიღებდა. სადმე გაუტყეყდნენ ბაღლები თავს. აქ—კა იგი მოკვდა სასახელო სიკვდილით. მომავალი მეცნიერების სალაროში ამანაც შეიტანა თვისიწვლილი...

მეცნიერების სხვერპლი!

ხარკოვი. 10 დეკ. 1915 წ.

გ. ალი.

რედაქტორ-გამომცემელი, რ. ფანცხაშა.

უ ე ც დ მ ი ს ბ ა ს წ მ რ მ ბ ა .

ქურ. „განთიადის“ № 15-ში შეცდომით არი დასტამბული „ჩვენი დროის სურათებში“	პირველ გვერდზე მეორე სტრიქონი: „გული სვედით ნაწვალები“	უნდა იყოს: „გული სვედითა ნაღები“.
ამვე გვერდზე, პირველ ტაეპში, მეორე სტრიქონი: „შემკული შენი“	„აქვე, მეშვიდე სტრიქონი: „ჩაგიმწყრევი“.	„წამონაშენი“.
პირველსავე გვერდზე მესამე ტაეპში მესამე სტრიქ.: „ლამპარების“	პირველსავე გვერდზე, მეორე ტაეპში, მერვე სტრ.: „ამ ჩვენი დროის“	„აგიმწყრევი“.
მეხუთე ტაეპში, მესამე სტრიქონი: „ბწყენა“	მესამე გვერდზე, მეექვსე ტაეპში, მეშვიდე სტრიქ.: „გულში სიამეს“.	„ლამპარებით“.
მესამე გვერდზე, მეექვსე ტაეპში, მეშვიდე სტრიქ.: „სიამის ბწყენას“.		„ჩვენი დროების“.
ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.		„ბწყენა“.
		„სიამის ბწყენას“.

სტამბა „ძმობა“ ქარ. ქ. სახ ჩარქოვისა.

თფილისის წიგნის მალაზიფიზი იზიღვა
გ. თუმანიშვილის წიგნები:
Итоги земских совѣщаній на Кавказѣ.

ფ. 60 კაბ.

Характеристика и воспоминанія,

(ქართველი და სომეხი მწერლები და სხვა მოღვაწეები. - ქართული თე-
ატრი. - რუსის მწერლები და მოღვაწეები კავკასიაში).

მეორე შეესებული გამოცემა. ფ. 50 კაბ.

ПЕРВЫЙ КАМЕНЬ

(Въ закладкѣ фундамента Тифл. Политехникума).

ფ. 15 კაბ.

ამიერდან მ. ჟუთაისიზი ზამოღის ახალი ზაზეთი

„**საქოზლო**“

გაზეთის ზასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე
ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი - 7 კ.

ესევე გაზეთი დაურიღდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული გზავნოთ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, რედაქცია
„სამშობლო“, თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება ნახატებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამო-
კიდებულია თანამგრძობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი
პორტრეტები.

ვთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებას და საზოგადო მოღვაწეებს გვი-
გზავნონ პორტრეტები.

მოწვეულნი არიან ცნობილნი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია
ამ დღეებში გამოქვეყნდება.

რედაქტორი მ. თ. ცანცაძე.